„თავური და ცხოვრება"

= 1916 =



1916წ.




წელიწადი მეოთხე

# 1916

სარჩევი

5862

Библиотека-Музей

# 1916 წ. ჟურნალში დაიბეჭდა ქვემოხსენებულ ავტორთა შემდეგი ნაწარმოებნი

(ციფრებით ნაჩვენებია ჟურნალის ნომრები)

## ზოგადი წერილები.

**არიმათიელი, იოსებ**—ჩატეხილ ხიდზე—მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში—11; ქართველი ექიმები—14; ვალ-გადაუხდელი—ვ. გუნია 17; სათათბიროს ათი წლის თავი—21.

**გოთუა, პართენ**—პატარა წერილები—52.

**გომართელი, ივ.**—დღევანდელი მომენტი შეთანხმებას გვიბრძანებს—9; უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან—10, 13—15, 17, 20, 22, 23; თამარ მეფე და ქართველი ქალი—18; ერობა—19; ქართველი გრიგორიანები—30; ქართველი ისრაელები—39; ეროვნული თვალსაზრისი—49; სადღეისო—51; ქრისტეს შობა—52.

**დადიანი, შალვა**—თამაში—25; კუჭი—27.

**ექიმი შტოკმანი**—ცაცია ხელი: ია კარგარეთელის კონცერტის შესახებ—12; უმადურნი—14; საზოგადოება „იმედი"—23; დროული წერილები—24, 25.

**კარბელაშვილი, ვასო მღ.**—ჩემი სამღურავი—13.

**კახი, ერმალოზ**—ქალთა საკითხის გამო—22.

**კიაზოშვილი, მიხ.**—მხოლოდ დადგენილება—36.

**მეთაური—მოწინავე წერილები:** განახლების მოლოდინში—1; შორს კინკლაობა და მცონარეობა—2; სადაც ილოცებ!—3; საგულისხმო გახსენება; გზა მიეცით!—4; და-ძმის დღესასწაული—5; წუნია პატარძლები—6; ახალი თეატრი; გაჭირვების ტალკვესნი—8; თესლი ნაყოფიერი; უპატრონოთ თავსა ჩვენსა—11; ძალა და ხათნოება—15; ერთი სიტყვა ერთი საქმე—16; ქართული თეატრის ტრაგედია—17; გაწყვეტილი სიმი; ძვირფასი სტუმარი—19; მკვდრეთით აღდგომის მოციქული—ა. ი. სუმბათაშვილი—21; დაძაბული ზეიმი—22; სანთლები ქრებიან!—23; დგომა—ცდომაა—24; დრამატიული საქმის დრამატილი მდგომარეობა—25; ერთი დასი—26; გაუთავებელი შუღლი—27; ნიღაბ-აფარებულთა მოღვაწეობა—29; ახალი მსხვერპლი—31; საზოგადო მოღვაწეობა—32; დიდი საქმის საძირკველი—33; მონდომება და მოქმედება—34; სეზონის მოლოდინში; სასცენო სტუდია—35; იდეურობა თუ შეუგნებლობა?—39; ჯერ კიდევ ჰყუჩობენ—41; გაყინული ხელოვნება—42; დროა საქმეს მივყოთ ხელი—44; თეატრის ასაშენებლად—45; ვინ უნდა უპატრონოს საქმეს?—46; უკვდავების მოციქული—47; სად არის ძალა?—48; საკუთარი კაცი საკუთარ საქმეს; 49; ვისი ან რის ბრალია?—51.

**მი—ლი**—აფხაზთა დეპუტაცია—23.

**მ—ოლი**—კითხვები—12.

**შიხიანი, გალუსტ**—უბრალო მკითხველის წერილები: ქართველ-სომეხთა ურთიერთობა—29.

**წინამძღვარი, ი.**—მადლიანი ადამიანი—გედეონ გომართელი—19.

**წ—ძე აპ.**—სცენა და მისი დამახინჯება—7.

**ჯანაშვილი, მ.**—თამარ მეფე—18.

## ლექსები.

**აბაშელი, ს.**—აკაკის—5; შავი თმა—23; ზღვის პირად—42; იისფერი თვალები—44.

**აბულაძე, სავლე**—სატრფოს—50.

**ადამაშვილი, გიგა**—ახალი ჯარისკაცის სიმღერა—1.

**აკაკი**—სიზმარი—18; საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი—24.

**ახვლედიანისა, დარია**—პასუხი—2; ჩემო მუხთალო ბედო—27; მეგობარს—34; ***—36; ***—38; ერთხელ გიხილე—42; სიმღერა—49.

**ახოსპირელი, ბეგლარ**—ალბომში, ბაირონიდან—19.

**ბაბილინა**—მთვრალი ეშხით—14.

**ბარათაშვილი, ნიკ.**—რჩეული აზრები, მერანი, ბედი ქართლისა—ორი სცენა, ვპოვე ტაძარი, რად ჰყვედრი კაცსა—47.

**ბეჟანიძე,** ქართველი მაჰმადიანი—თამარი—18.

**გაბრუაშვილი, დ.**—კვლავ დავბრუნდი—46.

**განჯისკარელი, ანტონ**—ცხონებული ეშია—4.

**გაფრინდაშვილი, ვალ.**—ქამანჩა და სიმები, ანენსკიდან—8.

**გედევანიშვილი, ლ.**—ბედნიერება 48.

**გივიშვილი დავ.**—ბულბულს; სასაფლაო—29.

**გოგუაძე, გაბრიელ**—ბნელ ღამეში—9; გლოვის ველი—13.

**გრიშაშვილი, ი.**—მსახიობი ქალი—6; მ—ას—32; მუნჯ სიმღერებიდან—37; კაზმული გრძნობა—39; მუნჯ სიმღერებიდან—40.

**გურჯაანელი, ნ.**—ის არ ყოფილხარ!—19.

**დაროშვილი, ი.** ***—27; სიზმრის დედოფალს—35.

**დგებუაძისა, ქრისტინე**—აკაკის გარდაცვალების წლის თავზე—5.

**ევდოშვილი, ირ.**—მეგობრებს—30.

**ერთაწმინდელი, ს.**—მუშა-მგოსანი—10; ვაი თქვენ—15; ღამე სტამბოლში—20; საქართველო—35; მზე-ყვავილი—40; მძინარე არწივი—44; ჩრდილოეთში—47; სოფელში—49; სერბიელთ ახალი მარში—51.

**ერისთავი, რ.** თამარიანიდან—18.

**ვაჟა-ფშაველა**—დარო ზურაშვილის ალბომში ჩაწერილი—31.

**ვარდოშვილი ზ.**—ადელდი, ზღვავ!—3; მთაზე ვდგევარ—11; მითხარით ერთი—15; სადა ხარ, სადა?—32; ***—35; ეჰ, ვინ მოსთვლის?—52.

**ველისციხელი, მ.**—„ომის სიმღერებიდან"—3; მგზავრის პასუხი—5; ***—11; თავისუფლება—16; გული—20.

**ვენე**—ჯარისკაცი—34.

**ვეფხო-ფშაველი**—ნუ შემიბრალებთ!—12; მეფე ვარ, ლირი!..—17; ირ. ევდოშვილს—19; ნუ დამიტირებთ—21; სულის შაირი—25; ***—40; ელეონორა—44.
**ზენობნიელი ნ.**—ჩემი ქვეყანა—15.
**იასალაშვილი, ალ.**—ცრემლები ებრაელისა—30.
**კალანდაძე, სიო**—საბრალო დათია—23; დედის მოთქმა—46.
**კვაცხუთელი, გ.**—ამონაკვნესი—33; ჩაგრულ ძმას—34.
**კიკნა-ფშაველი**—განწირულება—11; ცეცხლის ნაპერწკალი—22; ***—29.
**კირვალიძე, ვასილ**—ავადმყოფ მგოსნებს—2.
**კლიმიაშვილი, ალ.**—გაზაფხული—13.
**ლადოშვილი, ვ.**—როგორ უნდა დაგივიწყო?—13; ცოლის წერილი ქმართან ბრძოლის ველზე—17.
**ლეონიძე, გ.**—შენა—4; ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე—7; რად?—9; აპრილის შაირი—13; მთვარის სიცილზე—19; ***—25; თვალები—43.
**მარიჯან**—ლოხოვიცკაიადან—32; მოპარული სიყვარული—33; მოგონება—37; სუსტი მგზავრი—41; მტერ-მოყვარე—43; სკრიპკა—50.
**მგელაძე, საფო**—ბაგრატის ტაძრის ნანგრევები—2; ჩიტი—7; ***—10; ***—19; დაღუპულ მებრძოლს—36.
**მეგრელიშვილი, გ.**—ახალი წელი—1; სტრიქონები 23; დედა—40.
**მედგარი**—მე მაინც გეძახი—11.
**მ. ი.**—ჩვენება—45.
**მიშ—ელი**—ირ. ევდოშვილის ხსოვნას—19.
**მოლაშვილი, შ.**—სატრფოს საფლავთან—20; შემოდგომა—43.
**მოსაშვილი, ილ.**—განთიადი—10; ორი სურათი: იესო, გოლგოთა—13; ფოთლები—46.
**მღვიმელი, შიო**—ჩემსას—34.
**ოდიშელი, პ.**—ოჰ, იესო, იესო!—9.
**ორბელიანი, გრ.**—თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში—18; თამარის დროშა—18.
**ორბელიანი, ნინო კნ.**—განდეგილს—41.
**პელაშვილი, ბ.**—სად, სად ჰპოვებს!..—5; სად ხარ, სადა, მეგობარო!—16.
**რატიშვილი, კ.**—წერილი—36.
**რიონისპირელი, ალ.**—ნუ, ნუ მიგლოვებთ!—30.
**როინიშვილი, ვას.**—მეკვლე—1; მკვდრეთით აღსდგება—15; ოქროს ლილი—36; ნ. ბარათაშვილის ხსოვნას—47.
**რუხაძე, ვარლამ**—შენ მღეროდი—37; განცდა—38; დილა—44; ახ, ერთხელ მაინც!—49.
**რუშაველი, ფ.**—ლტოლვა—44; მარტოობა; რაიმონდიდან—50.
**საახალწლო**—ფეშქაშების მაგიერ.
**სილოვანი**—ცხოვრების სურათები—40; ომის ნაოხარზე—43.
**Sirʼno**—***—სიმღერა—48.
**სიხარულიძე, ი.**—ელეგია—1; მოწყალების დასა—26; მე ლოცვა მინდა—28; მგზავრი—46.
**სოფლიშვილი, ს.**—***—20.
**ტაბიძე, გალაქტიონ**—ჩემო მადონნავ!—50.
**ტაბიძე, ტ.**—ცისფერ თვალება—3; ალ. ბლოკიდან—4; შარლ ბოდლერიდან: 1, ალბატროსი, 2 ბაასი—10.
**ტალღა**—სასაფლაოზე—48.
**ტეტუნაშვილი, იაგო**—საწყალთა კერა—1; გამოსალმება—4; სიმღერა—12; სიმღერა—15; სიმღერა—16; ***—31; სვავს—34; ხალხურ კილოზე—34; დედის მოთქმა—45; ობოლი—51.
**უსტიაშვილი, ვანო**—ჯარისკაცი—7.
**ფაშალიშვილი, ს.**—ახალი რწმენა—1; აკაკისადმი—5; სალამი ა. სუმბათაშვილს—22; ზაფხულის წვიმა—32.
**ფერაძე, ილ.**—გლახაკი ქალის დასაფლავება—3; სად ხარ, ახლა, ქრისტევ, სად ხარ?—1; სიტყვა, ნადსონიდან—29; წინ—41.
**ქნარი**—გუშინღამ ქარი—4; შენა ხარ დარდი ჩემი გულისა—24; მოწმენდილ ცაზე—45; ნუ სტირი—52.
**ქუჩიშვილი; გ.**—ჩემი პრომეთე—8; ***—9; მოწოდება—10; მუშათა ცრუ მოარშიყეებს—34; ნაწყვეტი—37; სიტყვა—38; სიმღერა—39; გზაზე—40; ზღვას—41; ჩვენ—42; ლევნილი—43; ექსპრომტი—44; ელეგია—45; ჩემს გულს—46; ცის ქვეშ—48.
**ღვანკითელი, ვარდენ**—აკროსტიხი—18; ძველი ამბავი—32.
**ღრუბელი**—***—8; ალვის ხის ფოთოლი—51.
**შინატეხელი, გ.**—ნუ მომილოცავთ—2; ხაბაზის სიმღერა—3; ხელოსანი—9; სააღდგომო—15; ახალი მუხამბაზი ძველებურ ჰანგზე—37; ვინც რო მიყვარდა—39; საპყარი—42; ნ. ბარათაშვილს—48.
**ჩიხლაძე, იას. შიოს.**—ქართველი ჯარისკაცის თავგადასავალი—2.
**ჩხიკვაძე, ნ.**—სონეტები—8.
**ცვარ-ნამი, დ.**—კაემნის გველი—12; სურათზე—20.
**ძიძაძე, კ.**—განთიადი—14; ერთხელ მეც ვიყავ 19; რა მემღერება—25; ობოლი მხარე—39; შემოდგომა—40; ეჰ, რა ვიცოდი—42; განცდა—43; წარმავალობა 45; ნეტავი იმას!—48; ამონაკვნესი—49; მგოსანი—51.
**ძიძიგური, ლ.**—სამი კითხვა—24; რომანსი—26.
**წეველი, სიმ.** მშვენება და სიყვარული—16; ქარიშხალს—27; კავკასის ქედი—28; ბრძოლის ველზე—31; სააპრილო ოცნებიდან—38; სიკვდილ-სიცოცხლის დიალოგები—42.
**ჭიჭინაძე კ.**—ბედი—1; ლექსთა წყობა (კერძო წერილიდან); ო. თუმანიანიდან—36; საღამო—37 შემოდგომა—45.
**ჭრელაშვილი მ.**—სიმღერა—7.
**ჯანიაშვილი, ვ.**—კაეშანი—45.
**ხაჟალია, აპოლონ**—გაზაფხული—25.
**ხერხეულიძე, ბარ.**—რისთვის მინდა?—45.
**ხერხეულიძე, მიხ.**—ლექსი ბალმონტისა—35.
**ჰაზირა**—სიმღერა—52.

## მოთხრობა, ამბავი, მინიატურა

**ახვლედიანისა, დარია**—ქალის ცრემლები, ლექსი პროზად—1; ღმერთი—9; გაზაფხული—20.
**ბარველი, ვანო**—*** და ჯვარს აცვეს...—15.
**ბაქრაძე, ოლიმპიადა**—ჩვენ მოვდივართ—17.
**ბოჭორიშვილი, მიხ.**—მამა—7; სევდის სტრიქონები 13, 14; ძველი წიგნი—22; მწერალი—26; რახილ—31; რა მენაღვლება!—42.
**ბუქურაული, ივ.**—შამილის სამართალი—16.
**გარიყული, მარიამ**—როდემდის?!—2.
**გაფრინდაშვილი, ა.** აჩრდილი—5.

**გოგუაძე, გაბრიელ**—იქ ვნახე—27; დიდებული საიდუმლო—36, 37.
**გომართელი, ივ.**—ზამთარი—4, 5, 6; მარო და ვარლამი—32, 33; კრება—43.
**გორდეზიანი, ბ.**—სულის ლეგენდები—35.
**გუგული**—სესხი—49; არაყი—52.
**გურული, ნიკო**—რებეკა—23.
**დათიაშვილი, გ.**—რაინდი—10; მიჭრის—16; ნარნარო—21; მარო—46.
**ერთაწმინდელი, ს.**—უბედური დედები—41.
**ვენეცკასა, ანნა**—ერთადერთი შვილი—50.
**ილო** პრანჭიები—20, 22, 23.
**იმედაშვილი, იოსებ**—დედის ნაღველი—3.
**კაეშნიშვილი, ს.**—მაშ რაღაა ახალი?!—1. ჩვენი დროის ყვავილები—10, 12; მაშ... რაღად გიკვირს?!—24.
**კილოსანიძე, დავ.**—ციხე—51; უკანასკნელი საიდუმლოება—52.
**ლ**—მოსისხლე მტრები—15.
Leg?tus—ომის ღმერთი—11; სადარაჯო რაზმი—14.
**ლენიძე, გ.**—შუაღამის ლოცვებიდან—11.
**ლომთათიძე, გიორგი**—„На перевязку!"—3. „გიღალატე, მაპატიე"—35.
**ლორთქიფანიძე, ნ.**—საბა—38, 39, 40.
**მარტვილელი, კ.**—ცხოვრების თანამედროვე შვილი—46.
**მახლას**—ქალური თანასწორობა—45.
**მეხხი, დავ.**—ორშაბათს—17.
**მირიანაშვილი, ალ.**—ფიქრები ფრთა-მოტეხილისა: სეირი—29; ომის მსხვერპლნი—34.
**მიწისშვილი, ნ.**—მთის მდინარე—4. Mement‹› mc-ri—9; სამარადისო ზღაპარი—16; უდაბნოს საიდუმლო—21; მელანქოლია—34, 35; მდუმარება—44.
**ობოლი**—მოსე წინასწარმეტყველი—12.
**პირველი, ამ.**—შურის ძიება—2, 3, 4.
**რემონიძე ს.**—ჯარის კაცი 7, 8, 9.
**რუშაველი, ფ.** პატარა ზღაპარი—12; მუხის ნაამბობი—19.
**საათაშვილი, ვანო**—დანგრეული ოჯახი—17.
**საქარიქედელი, გრ.**—ეთერო კი ელოდა—11; მკითხავთან—13.
**ფალავანდიშვილი, დუშიკო**—ჩემი სიზმარი ახდა—27.
**ფურცხვანიძე, ევ.** სიკვდილის მოლოდინში—39, 40, 44.
**ყიფიანი, ბარბარე**—ერთადერთი მარჩენელიც—22.
**ჩიანელი, დია**—ცრემლები სულისა—7; ტანჯულთ მგოსანი—20; წყლის ასული—23; კასპიის ზღვის ტალღებმა იცის—48.
**ძიძიგური, ლ.**—სიყვარული და ერთგულება, ბულგარული ლეგენდა—28; ყორანი—37; მამალი და ძაღლი—38; სულის განცდანი—40; ილია და მთიული—42; სევდის სტრიქონები—წაქცეული მუხა—52.
**ჭელიძე, ა.**—ვარდის ეკლები: ქურდი; დახმარება—45; შეცდომა—46; ქუჩ-ზე—50.
**ჭიჭიკო**—ვირის ჭკუა—40.
**ხარჩელი, მირ.**—სიზმარი სანგრებში—25, 26, 27, 28, 29; დედა, ქართველი ჯარისკაცის ცხოვრებიდან, გ. პილიპოვიჩისა უკრაინულიდან—49, 50, 51.

## დრამები, კომედიები, ვოდევილები.

**აბაკელია, გრ.**—ქურდი ანუ კეთილის-მყოფელი, ხუმრობა 1 მოქ. მიუსარ-ვიკენტიევისა, გადმოკეთებული—30, 31.
**ანდრონიკაშვილი, ელო**—„მზის საიდუმლო", იგავი 1 მოქ. ბ. გეიერისა № 32—34.
**ბაქრაძე, ალ.**—აი, ახლა კი დავწინაურდი! ვოდ. 1 მოქ.—35, 36, 37.
**განჯისკარელი, ანტონ**—ჯერ არ გაუგიათო, ერთმოქმედებიანი სცენა—6.
**გარრიკი, ვ.**—მოლიპულ გზაზე, დრ. 5 მოქ. ან. ერისთავის მოთხრობიდან გადმოკეთებული—15, 17, 20, 29.
**გოგია**—ბოიკოტი, პიესა 3 მოქ.—5—14.
**ელიაშვილი ნ.**—ბენ-დავიდ—იძულებულნი, ისტ. დრ. 1 მოქ. ძველი ებრაულიდან 38—46, 48.
**კოპალი, დ.**—აკაკის საფლავზე, ესკიზი 1 მოქ.—4.
**საქარიქრდელი, გრ.**—მოსე მწერალი, ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან, პიესა 4 მოქ. 49, 50, 51, 52.
**ყიფიანი, კ. დ.**—ბედი ქართლისა, ისტ. დრამა 4 მოქ.—1, 2, 3.

## ცხოვრება-მოღვაწეობა, დახასიათება, მოგონება.

**ანანიაშვილისა, მარიამ**—ომის მსხვერპლი, ვ. მალალაშვილი—6.
**არაგვიანი, ლ.**—ვაჟა—მთის ფიქრი—31.
**არიმათიელი, იოსებ**—სახალხო მოღვაწე-მასწავლებელნი: არს. სიმ. წითლიძე და იერ. გულისაშვილი—3; ვინ იყო ელ. ჩერქეზიშვილი?—5; გ. გძელიშვილი—6; ობოლი მომღერალი—შიო მღვიმელი—7; ჩუმი მოღვაწენი—ვ. ნ. კირვალიძე—12; უმანკო მსხვერპლი—ან. სოლ. ანდრონიკაშვილი—13; აბელ. ოქრ. იაშვილი—16; თამარ დიდი—18; წამებულთ წამებული—ირ. ევდოშვილი—19; მუშათა მუშა—ზ. ი. ჩოდრიშვილი—20; მსახიობ-დრამატურგი თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილი—22; ა. თ. ყიფშიძე-ფრონელი—25; უებრო პირისუფალი—ა. თ. ყიფშიძე-ფრონელი—26; ჩვენი მოღვაწენი: ზ. ჩიტაძე, თ. ხუსკივაძე, ერ. ჯაბადარი—28; დავიწყებული მგოსანი—დ. გივიშვილი—29; საიდუმლო ტრაგედია—კიკნა ფშაველი—სიკო ბადურაშვილი და გრ. ხერხეულიძე—30; მასწავლებელ-აღმზრდელი—ა. ნათაძე და სახალხო მუშაკი გ. ლომთათიძე—32; სამაგალითო ადამიანი ეკ. ივ. სარაჯიშვილისა—33; მონათა განთავისუფლების მქადაგებელი ჰარიეტ ბიჩერსტოუ—36; მეზობელთა შორის: პ. ადამიანი, ს. სპანდარიანი—43; დევნილი მოღვაწე არქ.-ისტ. თ. დ. ჟორდანია—44; სევდიანი მიჯნური—მგოსანი ა. გ. ჭავჭავაძე—45; ქართველი მოღვაწენი—გ. ახალციხელი—45; ერის მოციქული ჰენრიხ სენკევიჩი—46; სული ობოლი მგოსან-მოაზრე ნ. ბარათაშვილი—47; განათლების მოღვაწე—გ. ნ. იოსელიანი—48; არა ჩვეულებრივი კაცი ს. თარაიანი—49; ერთი

მათგანი—მ. ქ. ყიფიანი—51; ხელოვნების დანაკლისი ნ. საყვარელიძე—52.

**ახალციხელი გ.** მადლიანი მუშაკნი—გ. ნუკრაძე—24:

**ახლობელი**—პროვინციის მოღვაწე ქალები: ევ. წუწუნავას გარდაცვალების გამო—44.

**ბაჯიაშვილი, ალ.**—სახალხო სცენის მოყვარე—რ. სალაყაია—22.

**გარრიკი, გ.**—ტომაზო სალვინი—2.

**გოგაშვილი, ა.** სცენის მოყვარე ა. ღოღაძე—13.

**გომართელი, ივ.**—იროდიონი—19; ლადო დარჩიაშვილი—20; ჩვენი ვალიკო—42; ვლადიმერ სტაროსელსკი—44; ნიკოლოზ ბარათაშვილი—47.

**გომართელი, შალვა**—სცენის მოყვარე ლ. ყ. პავლიაშვილი—11.

**დადიანი, შალვა**—სამი საუკუნის წინეთ (შექსპირის ვინაობის შესახებ)—30; დუზე—41, 42, 43; ეველინა წუწუნავა—51.

**ერთი მოქალაქეთაგანი**—მოგონებანი დავით გივიშვილის შესახებ.

**ექიმი შტოკმანი**—სწორუპოვარი მეუღლენი დ. ზ. და ეკ. სარაჯიშვილები—33.

**ი—ელი**—ომის მსხვერპლი დ. ე. ანთაძე—8; ბეჭდვის უჩინარი მუშაკნი—ასოთამწყობი ზ. კოტეტიშვილი—29; მომღერალ-მსახიობი კ. ს. ცხომელიძე—30; ჰ. ბ. ჰაჯიბეგოვი—35; ე. რ. წუწუნავა—42; ომის მსხვერპლი ი. ნ. ჩოდრიშვილი—50.

**ი—ი**—მუსიკოს-მასწავლებელი ი. გ. მონადირიშვილი 12; თეატრის მუშაკნი—ა. კავთელი—36; გ. ხირსელი—48.

**ი—ლი**—კაცთმოყვარე ადამიანი—ა. ბ. შიხინოვი—25.

**იმედაშვილი იოსებ**—სახალხო თეატრის მუშაკი—დ. რ. შველიძე—7; სული ლამაზი—33.

**ლავრენტი იმერელი**—ჩინებული აღმზრდელი ი. გ. გიგინეიშვილი—38.

**ლეონი, გოგლა**—კიდევ ორი: კარმენ სილვა და ტ. სალვინი—10.

**—ლი**—გლეხი მსახიობი ან. მურუსიძე—3; პროფ.-ლექტორი ნ. ა. გრედესკული—3; ლ. ს. თათეიშვილი—8; კ. ნ. აფხაზი—44.

**მალაქიაშვილი, გ.**—იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას—24, 25, 26.

**მაჰავარიანი, ხოსო**—ჩუმი მოღვაწენი, სცენის მოყვარე ნაპოლეონი—33.

**მგალობლიშვილი, სოფრომ**—ქართველ მწერალ-მოღვაწეთა წერილები, მარიამ ივანეს ასული დემურია—2.

**ნათაძე, ალექ.**—ვაჟა-ფშაველა სიყმაწვილეში—31, 35, 36.

**ნარგილი**—ირაკლი ლუკასძე ბაქრაძე—22.

**ნარი**—სახალხო მუშაკნი ს. ა. ზაქარიაშვილი—35.

**ნორიელი, ალა**—დეკ. კორნელი კეკელიძე—44.

**საგელი**—ლ. ს. ბარამიძის ხსოვნას—16.

**ფერაძე, ილია**—დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“—10.

**შიუკაშვილი, ნ.**—ბატონი და ყმა (ვ. გუნიას შესახებ)—27.

**ჭიჭინაძე, ზ.**—რა წრეში აღიზარდა ნ. ბარათაშვილი—47.

## ხელოვნება, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, სკოლა.

**არიმათიელი, იოსებ**—„ღალატის“ ავტორთან—23, 26; პირველი სხივი „განათლების“ სემინარია—39; ქართული თეატრის ბედი—40.

**გაბუნია, კლავდია ლ.**—ორი წლის თავზე—45.

**გარრიკი, გ.**—ოპ. „რიგოლეტო“ ქართ. სცენაზე—2; „ოტელლო“ ქართულ სცენაზე—13; ღალატი“ ალ. სუმბათაშვილისა—19; „ტრავიატა“ ქართ. სცენაზე; თანამედროვე მსახიობი და მისი ტრაგედია—36, 37, 38.

**გოგლა**—უგვირგვინო მეფენი, სანდრო შანშიაშვილისა—24.

**გომართელი. ივ. ექიმი**—თეატრი—50.

**გურული, ნიკო**—შ. დადიანისა და ე. ანდრონიკაშვილის გასტროლები დ. ხაშურში.

**დავიწყებული**—თელავის სცენის მოსპობა—20.

**დ—შვილი, დ.**—გულს ნუ ავიცრუებთ—36.

**ექიმი შტოკმანი**—„თამარ ცბიერი“ „ახალ კლუბში“—49.

**ვინმე გურული**—ახალსენაკის დრ. საზ. საყურადღებოდ—52.

**ი—ძე ს პრ.**—ნუ აყოვნებთ! ვალ. გუნიას იუბილეს გამო—37.

**კავსაძე მ.**—ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)—13, 14, 16, 20, 21, 25, 26.

**კიაზოშვილი, მიხ.**—დეკლამაცია—33; ჩემი შთაბეჭდილება—52.

**კირვალიძე, ვასილ**—ქართთლ თეატრის შესახებ—50.

**—ლი**—ქართ. დრამ. საზ-ის საგანგებო კრება—27.

**ლო—ძე, ი.**—ნალჩიკის ქართველობა—27.

**ნელი**—ჩინებული აზრი ქართული თეატრის აშენების შესახებ—48.

**საქარიქედელი, გრ.**—თბ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება—27.

**ფანცულაია, არ.**—წმინდა ხელოვნება—32, 34, 39, 42; ჩვენ და ჩვენი თეატრი—30.

**ქ—ი, დ.**—ქარ. ფილ. საზ. განყოფილება ქუთაისში—27.

**ქურხული, ილიკო**—მოხეტიალე მუსიკოსი—9, 11.

**შიუკაშვილი, ნ.**—გაფრთხილება—11; ქართული ფილარმონიული საზოგადოება და ჩვენ—12.

**ცაიშელი, გ.**—ცაიშელი დრამ. წრე.—38.

**ხმალაძე, გოგია**—სამხატვრო წერილები ა. ი. კუინჯი—7.

**ჰაზირა**—აშუღობა—46; აშუღების ადათი და ჩვეულება—50.

## კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, მიმოხილვა.

**არიმათიელი, იოსებ**—გაცრეცილი ცხოვრება, ს. რუმონიძე—37.

**გარრიკი, გ.**—კინემატოგრაფი და თეატრი—9, 10.

**გომართელი, ივ.**—მოგზაურობა სისხლის წვეთისა, ექ. თიკანაძე—7.

**ი—თელი**—გასული წელი—1.

**კოტეტიშვილი, ვახტანგ**—ბ. ახოსპირელი და მისი სიმღერა—5, 6, 7, 8.

**ლეონიძე, სიკო**—„სხივი“, ლიტერ.-სამხ. კრებული—15.

**მა-თ-განი**—საწადელს მიაღწიეს...—13

**მიშო**—გიორგი და გეურქა—11.

**ნაზი**—რუსთველის საღამო მოსკოვში—4.

**ნიკოლაძე, ნიკო**—ნ. ბარათაშვილის ლექსები—47.

**პაპავა, აკაკი**—რკალები: „ჩვენი ალუბლის ბაღი“—3.

**სილოვანი**—კრიტიკული შეცდომები: მეც ვიტყვი. მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმერთსა ღვთისა—45; „გენიოსები“ და „მეფეები“—46, შინაარსი და გარეგნობა, „სიტყვიერობა“ და გრძნობიერობა—49; ალ. ჭავჭავაძის პოეზია—51, 52.

**ხულხანიშვილი, ბარბარე**—სასიხარულო ფიქრები, შ. მღვიმელის დილაზე—11.

**ცაგარელი, ალ. პროფ.**—ნ. ბარათაშვილის შემოქმედება—.

## ისტორია, გეოგრაფია.

**დადიანი, შალვა**—ხელოვნების მოკლე ისტორია, ბაიესი: 1, 2, 5, 7, 8, 14, 16, 23, 31 35.

**ვართაგავა, იპ.** ქართული ისტორიის ოქროს ხანის მწერლობა—18.

**კაზი, ერმალოზ** თამარის საფლავი სად არის? მგზავრის წერილები—28; კარსან-არმზი—41.

**ნახუცრიშვილი, დ.**—თამარ მეფე და დიდუბე—18.

**რუხაძე, ილ.**—ხონის თეატრის მოკლე ისტორია—37.

**ჟორდანია, თ.** ძველებური ჩაცმულობა—15.

**ჭიჭინაძე, ზ.** ქართველი ერი ხელოსნობისა და ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზზე—6.

**ჭ. ზ.** სარეცელის სიწმინდე—18.

**ჯანაშვილი, მოსე**—ლევან ბატონიშვილი—37—43.

**ჯაბაური, გიორგი**—სახალხო თეატრის ისტორია—1, 40, 50, 51.

## სოფელი.

**გომართელი ივ.** სოფლად—37; სოფელში—38; სოფლის დაკვირვებიდან—41.

**მერაბაშვილი გიორგი**—გლეხთა წერილები: წერილი წინარეხიდან—38.

**ხოლოდაშვილი დ.**—სოფელი (ს. კაჭრეთი)—5; ჩვენი სოფელი—17.

**ხტუმარი**—დიმიტრი ყიფიანის სახელ. სამკითხველო ქვიშხეთში—31.

**ჯაფარ-რაჭველი**—მგზავრის შთაბეჭდილებანი, კახეთი და მისი დღევანდელი მდგომარეობა—30, 34, 43.

## მიწერ-მოწერა, სამიმარი, დღიური.

**ახვლედიანისა, დარია**—ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას—28.

**ბოჭორიშვილი მიხ.**—ი. ევდოშვილის დაკარგვის გამო—21.

**გომართელი, ივ. ექიმი**—ჩემს მასწავლებელს ალ. ჭიჭინაძეს—9; ჩემი პასუხი—40.

**გულდამწვარი მეგობარი**—როდემდის იქნება ეს სავალალო დრო? ვლ. დარჩიაშვილის გარდ. გამო—21.

**ვაჟა-ფშაველა**—წერილი ზ. ჭიჭინაძესთან.

**ი—ელი**—საუკუნის თავი: ნ. ბარათაშვილის ხსოვნა—48.

**თეზბიტელი, ი.**—წერილები მეგობართან ქართველ მუსულმანების შესახებ—16, 17, 18.

**კაზი, ერმალოზ**—დღიურიდან: პასუხად ცაცას—36.

**კირვალიძე, ვასილ**—ირ. ევდოშვილის დაკარგვის გამო—21.

**სარაჯიშვილისა ეკ. ივ.**—ანდერძი—34.

**ჩაქუჩი**—წერილები მეგობართან ქართველ მუსულმანების შესახებ—21—50.

**ხერხეულიძე, გრ.** დღიურის ნაწყვეტები—32, 34.

## ხალხური შემოქმედება.

**გელოვანი გედ.**—თუშური ლექსები—12, 35, 29; ხალხური ლექსი—26; ფშაური ლექსი—32; თუშური ლექსი—49.

**ლომჯათიძე, გიორგი**—ხალხური სიბრძნე, გურიაში შეკრებილი ანდაზები—31, 32.

**ურუშაძე, ირაკლი**—კაცის თვალს რა გააძღობს, აჭარაში გაგონილი ზღაპარი—40; რისთვის იცვლება ადამიანი—46.

**თამარ** მეფის ანდერძი—18.

**ჯაჭვაძე მართა** ხალხური შემოქმედება—1.

## სცენები, გასართობი, სახუმარო.

**ალი-ძამია**—ფოტინე და მარინე—6, ახალი მოდის რეჟისორი—15.

**ანთაძე, დავ.**—უქმროდ დარჩენილნი—8.

**გუგული**—გამატყავეს კაცი—9; არტუა სასწავლებელში—48.

**თომა პუსა**—იმერული სცენები—39.

**მოლლა ნასრ-ედდინ**—დაუჯერებელი ამბები—17; პატარა ფელეტონი—დაუჯერებელი ამბები—21.

**საფაროვი, შაქრო**—ქართველ მსახიობთა კალენდარი—1.

**სელოს ძმა**—ენის წამება—1; საამდროო საუბარი—3.

**ურუშაძე, ვასო**—აბა, ნუ მისცემთ ქალს?!—52.

**ჭიტა!**—კულისებში—5.

## მოწოდება, მოხსენება, სიტყვა.

**ალექსანდრე ასოთამწყობი**—ვ. გუნიას იუბილეს გამო—29.

**არიმათიელი, იოსებ**—ყური უგდოთ ვალ. შალიკაშვილს—31; ვ. გუნია ლოგინშია!—38.

**ახნაზაროვი, ა. მ.**—ელ. ჩერქეზიშვილის დღესასწაული—7.

**იმედაშვილი, იოსებ**—ელ. ჩერქეზიშვილს—7; გამოსათხოვარი სიტყვა ეკ. ივ. სარაჯიშვილს—34.

**კირვალიძე, ვასილ**—სალამი შიო მღვიმელს—7.
**მეთვალყურე**—ვ. გუნიას ავადმყოფობა—39.
**მერკვილაძე, ნოშრევანი**—სიტყვა შიო მღვიმელს—10.
**ხერხეულიძე, მიხ.**—ქართველი ქალი და აკაკი—3.

**ჟურნალში დაბეჭდილია** მრავალი სურათი: მსახიობთა, მწერალთა, მუსიკოს-მომღერალთა, სხვადასხვა დარგის ხელოვანთა, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა, ომში დაღუპულთა და სხ., აგრეთვე რეცენზია-მიმოხილვანი საქართველოს დაბა-სოფლებიდანა და რუსეთის ქალაქებიდან: გულისაბასი, ნიკო გურულისა, მედგარის, მიშოსი, ნორიელის, უსავანოსი, წინამძღვირის.

**1916 წ. განმავლობაში რედაქციამ გამოსცა ორი საგანგებო ნომერი:** ა) „თამარის დღე" (№ 18),—თამარ მეფის სახსოვრად. მთელი მასალა თამარს ეხება და ბ) „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (№ 47), ნიკოლოზ ბარათაშვილის სახსოვრად. მთელი მასალა მგოსანს ეხება.

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო სამხატვრო
კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში დირს **8** მან. ნახევარის წლით 4 მან. **50** კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება**: ტფილისში, „სორაპნის" **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




პარასკევი, 1 იანვარი

№ 1 1916

ფასი 10 კ.

წელიწადი მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ წელიწადი მეოთხე.—(იხ. მე-2 გვ.)



† ტომაზო სალვინი (1829-1915) მსოფლიო გენიოსი ტრაგიკოსი, გარდაიცვალა იტალიაში.

# ახალი რწმენა

დროთა ტრიალის ცრემლიან დავთარს
კვლავ ამოვხიე ერთი ფურცელი,
დავმარხე იგი და მასთან ერთად
დავმარხე სევდაც, ზღვასავით ვრცელი...
სული ეძახის ახალ გარიჟრაჟს,
სული — დღესნამდე შხამის მწოველი;
ახალი ცეცხლი მათბობს შორეულს
და ახალ ღმერთსა ლოცვით მოველი!
დაე, გოლგოთა ერის ტანჯვისა
ძველ სისხლ და ცრემლით ჩამოილეკოს,
და ახალ რწმენის სამლოცველოზე
ახალი ზარი ჩამოირეკოს!..

ს. ფაშალიშვილი



ელ. ჩერქეზიშვილი როლში. მისი იუბილეს გამო.

## ხრუზუხის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

## ახალი წლის შეგებება

**მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო 1, სიმ-ებიანი ორკესტრი** ბ-ნ პრესმანის დირიჟორობით შეასრულებს ევროპიის კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებთ; **2 იმღერებენ** რომანსებს ქართულს, რუსულს, სომხურს და სხ; **ვაი ვუის** ხმაზე თანამედროვე **კუპლეტებს 3, წაიკითხა-ვენ** ახალგაზრდა პოეტები ლექსებს; **4, დუდუკი;** მეთარე ბ-ნი სადირაშვილი დაუკრავს **თარზე;** 5, დასასრულ—**ცეკვა, ლეკური** და სხ.

შემდეგ **ვახშამი.** საერთო ვახშამზე—1 მ. 50 კ. ჩაწერა შეიძლება ხარფუხის კლუბის კანტორაში **შესავალი ფასი:** მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

## სახალხო სახლი შაბათს, 2 იანვარს 1916 წელს.

**სახ. სახლთან არს. ქართ წარმ მმართ წრე. ქართულ თეატრის დაარსების აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება:**

1 **გაყრა** 2 **დავა**

(კომ. 4 მოქმ. გ. ერისთავ სა. მხოლოდ მე-თხე მოქ. დასაწყისი საღამოს სწორედ 8 სათზე შემდეგ წარმოდგენა 10 იანვარს. ადგილების ფასი 4 კ., 50 კ-დ. რეჟ. კ. შათირაშვილი.

### ფოტოგრაფია ი. ა. სტურუასი

(ვოგზლის ქ. და ყვირილის ქ. № 13)

იღებს ყოველნაირი ზომის სურათებს ხელმისაწვდენ ფასებში, სუფთად და ხელოვნურად. შენაკვეთ საქმეს ასრულებს დანიშნულ ვადაზე.

## სახალხო სახლი

თხშაბათს, 13 იანვარს ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## იუდის მემკვიდრე

დრ. 5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისი

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ.. ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ყიფიძე ი. ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ანდრონიკაშვილი

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტიშობისთვეს.

## განათლება

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალი (წელიწადი მეცხრე).

წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს **5 მ.** ტფილისში ხელის-მომწერთათვის სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს **4 მ.** ჟურნალი დაუთმობათ **3 მ. 50 კ.**

ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირს **50 კაპ.**

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. **მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузин. Гимназія Л. Б. Боцвадзе. 1233 რედაქ. გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

**ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით**

| წელიწადი ი მეოთხე | „თეატრი და ცხოვრება“ | წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან. |
| --- | --- | --- |

**წელიწადი გამოცემისა მეოთხე**

**1916 წელსაც გამოვა**

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა**

**ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება**

**ფასი:** წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

**ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარ. ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. **„Театри да Цховреба“**—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# თეატრი და ცხოვრება

**№ 1**

წელიწადი მეოთხე

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ, ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

**№ 1** **პარასკევი, 1 იანვარი** **1916 წ.**


# მოგილოცავთ ახალ წელს!

## 1 იანვარი

**განახლების მოლოდინში**

„მოგვილოცნია ახალი წელი!“—ამ სიტყვებით შეხვდება დღეს ჩვენი ხალხი ერთი მეორეს, გადაჰკოცნის და მრავალ სიკეთეს უსურვებს ..

სადმე ქოხში დილა ადრიან გლეხი მეკვლე მუგუზალს წაუჩინჩხილებდა, უმრ ნაპერწლებს გააყრევინებდა და ყოველ წაჩინჩხილებაზე წასძახებდა: ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი ქირნახული, ამდენი სიტკბოებაო.

და მრავალ ქირნახული გლეხი ამ სიტყვებით გამოხატავდა თავის რწმენას: შარშან, შარშანწინ თუ ბევრი ვაება გამოვიარე, იმედია, მომავალ წელს ეს აღარ იქნება, სულით განვახლდებით!..

და ეს თვითრწმენაა, საუკეთესო მოლოდინის მტკიცე იმედია მიზეზი, რომ ჩვენი ხალხი მრავალგვარ სიდუხჭირეს გოლიათური სიძლიერით ებრძვის და თანდათან წინ, განახლებისა და აღორძინებისაკენ მიისწრაფის...

რაც ყოფილა—ის აღარ არის, რაც არის—ის აღარ უნდა იყოს...

გასულმა წელმა ნათლად გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის მოამაგე მამა-პაპათა ნაღვაწს უქმად არ ჩაუვლია,—მათი ნათესი ნოყიერ ნიადაგში ჩაპნეულა და უკვე აჯეჯილებულა: ქართველის მაჯის ცემა გაძლიერდა, განახლების მოლოდინით აღძრული; კერძო თაოსნობის მაგიერ—საზოგადოებრივ-ამხანაგურმა თაოსნობამაც იჩინა თავი, ქვეყნის ნივთიერად აღორძინების საქმეს—თვით ქართველივე ცდილობს, სახალხო მასწავლებელმა—ამ ჩვენი ერის აღორძინების ბურჯმა—უკვე გაბედული ნაბიჯი გადასდგა, ერთი მეორეს შეუკავშირდა; იშვიათია კუთხე, რომ რაიმე კულტურული მუშაობა არ იყოს; ყოველ ჩვენს საზოგადოებრივ დანაკლისსა თუ შესამატს ადგილობრივი და საქართველოს გარემცხოვრები ქართველობაც გულმხურვალედ ეხმაურება, ხალხი—მთელი ერი თანდათან ცნობიერდება და ხშირად თვითვე თაოსნობს ამა თუ იმ კულტურულ-ეკონომიურ საქმეს... ჩვენს სამშობლო ეკლესიასაც რაღაცას ჰპირდებიან... სკოლის განახლება დაეტყო, ჟურნალ-გაზეთობა ვრცელდება...

დღეს უკვე ხშირად გაიგონებთ სიამაყით წარმოთქმულს: **»მე ქართველი ვარ!«** და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ცალკცალკე აძგერებული თითოეული ქართველის გული ერთის გრძნობით დაიწყებს ცემას, ერთის მცნებით და საყოველთაოდ განისმის: **»ჩვენ ქართველები ვართ! ჩვენი თავი და სარჩო საბადი ჩვენადვე გვსურისო...«**

და მთელი ჩვენი ხალხის ყურადღებაც აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ რაც

შეიძლება ჩქარა ვეღირსნეთ ასეთ გაერთიანებას, ერთი მთლიანი საქართველოს შექმნას—მიწა-წყლით, სწავლა-განათლებით, ვაჭრობა-მრეწველობით აღორძინებულს. ჩვენი ხელოვნებაც მხოლოდ მაშინ აღორძინდება სისრულით, თეატრი გაძლიერდება, მწერლობა გაიფურჩქნება...

და მხოლოდ მაშინ გათენდება ჩვენი ახალი წელიწადიც...

ამ რწმენით გილოცავ ახალ წელს, ძვირფასო მკითხველო—მეგობარო, და ჩემო სამშობლო კერავ!..

# საახალწლო ფეშქაშების მაგიერ

ქართულ თეატრს:
„ვაი, რა კარგი საჩინო,
რა ავად მიგიჩნიესო“,
აშენებისა მაგიერ,
დაგწვეს და დაგაქციესო.

სახალხო თეატრს:
„რაც იყავ, იგი ნულარ ხარ,
რაც ხარ, მად ნულარ იქნები“..
საით მხარესაც გაგწევენ,
იქით ნუ გადაიქნევი.

პროვინციის თეატრებს:
„იზარდეთ, მწვანე ჯეჯილნო,
დაპურდით, გახდით ყანაო...“

ქართველ მსახიობებს:
„მეც თქვენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით“.

ქართველ დრამატურგებს:
„მოდით ვნახოთ დრამატურგნი,
რამ ჩაყლაპა დრამატურგნი?!“

ქართველ პოეტებს:
„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ხალხისა მოძმე იყოთ
ჭმუნვასა და სიხარულში“.

მოკინკლავე ჟურნალ-გაზეთებს:
„პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“...

ქართულ გიმნაზიას:
„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია“.

ჩვენს ზოგიერთ პუბლიცისტს:
„ინდი-ფრინდი, ფერად შვინდი,
გადაფრინდი, გადმოფრინდი“.

ქალაქის მამებს:
„ძველს ქუჩაზე ტალახი
ისევ ძველის ძველია“.

ქართველ თავად-აზნაურობას
„საბრალო დედაბრისასა
თაგვნი ყანასა მკიანო“...

ქართველ გლეხს:
„ყველა შენ ჩამოგეკიდა
მამასახლისი, გზირია“;
სუყველას მოიშორებდი,
რომ გქონდეს ერთი პირია!.

უნამუსო მეზობელს:
„საყდრის კარი ღია იყო;
ძაღლს ნამუსი არა ჰქონდა“...

ქართველობას:
„ვაებითა და ვიშითა
ვინ მოიშორა ჭირიო!“

ზოგიერთ ქართველ მასწავლებელს:
„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!“

ქართველ მუშა-მშრომელთ:
„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“...

ქართველ მაღალ წოდებას:
„სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა!“

ქართველ სამღვდელოებას:
სადა არს სიონი, ჯვარი ვაზისა და სახარება ქართულად თქმული?!.



**მოქანდაკე ი. ნიკოლაძე**
თავის ატელიეში

# ქალის ცრემლები

(ლექსი პროზად)

აჰა, მოვედ მე შენს ტაძართან, სამშობლოვ ჩემო, შემოგავედრო ბედი ჩემი გაწამებული, უსამართლობით დაგმობილი, დამცირებული და, გთხოვ, ისმინო ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება:

სიცოცხლე ჩემი არა რა არს, დამონებული, მიზანი ჩემი ტყვე-ქმნილია ბორკილებითა და სიყვარული მოწამლული, დამცირებული...

ნეტა რად, რისთვის? ვინ წამართვა თავისუფლება?

მე ხომ შენ მშობე, შენ ჩამიდგი სული ყოფნისა, და შემაყვარე გაზაფხული, მშვენიერება? სად გაქრა იგი, ნეტარების გრძნობა ფიქრები, სულს თავისუფალს, ვინ დაადვა ეს ბორკილები?

შენ სდუმ: არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება!..

მახსოვს მე, მახსოვს, უდარდელი თავისუფალი, მინდვრად ვკონავდი ყვავილების თაიგულებსა,—შენ გიმღეროდი...

მახსოვს თვალ-ლურჯა გაზაფხულის წყნარსა საღამოს, შენს ხავერდ მოლზე მე დავდევდი ციცინათელას, რომ დამეჭირა უცხო სხივი--ჩემი ოცნება. ეს შენ გეძახდა უდარდელი ახალგაზდობა! ყვავილთა შორის შენი სახე მელანდებოდა და მე სრულ-ყოფა, ნეტარება მენატრებოდა. დღეს სადღა არის ნეტარების იგი ტაძარი?

გაჰქრა ოცნება, სიყვარულის გაჰქრა ზღაპარი! შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება!..

მაგრამ ვინ დავგმე, ან ისეთი რა დავაშავე, რომ მონად მთვლიან, დამცინიან, რადგან ვარ ქალი, და განა მე-კი არ მაქვს შენი გრძნობა-გონება?

შენი ხალისი, შენი სწრაფვა, და ლაღი სული, რომ არ დამიგმონ მე მიზანი და სიყვარული? შენ თავისუფლად შენს ძუძუზე ისე გამზარდე, როგორც ის მეფე—მამაკაცი, რომელიც ახლა მე დამყურებს ასე ამაყად, რომ თავი თვისი ბუმბერაზად მოსჩვენებია, მე კი ქიად...

ნეტა რად, რისთვის? მონის მონად მე ვინ მაქცია?

შენ სდუმ: არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება!..

მე გული მიწუხს, სული მიშფოთს გრძნობა დუნდება, რომ ყოფნა ჩემი ასე მიდის, ასე ბნელდება, რომ სჯულის წიგნიც იმას ამბობს გულის უფ-ლო: ქალი მონაა, დაცემული და სამოწყალო.

და, ჰა, მძიძგნიან, როგორც ლეშსა უგრძნოს, უსულოს, და როცა მინდა დავიახლო სახე შენი—მიზანი წმინდა—საკანში მსვამენ, ვითომ ერთგულნი საკენკს მიყრიან, თვით მზის სხივებს მანატრებენ, ისე მივლიან.

მე მიბრძანებენ: ვიყო ნაზი, ვიყო კეკლუცი, რომ მეფე ჩემი დასტკბეს ჩემი სურნელებითა. არ ენაღვლებათ მოვკვდე მონურ მწუხარებითა.

და ასე უღვთოდ ვსჭკნები მონა შეყვარებული... შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება!..

ახ, ჩემო გულო, საყვარელო სამშობლოვ ჩემო, ნუ, ნუ მრაცხ მონად, განწირულსა დღე განმინათლე, შემოაცალე ამ უმწეო სულს ბორკილები, რომ დედამიწამ დაინახოს ჩემი სიმართლე!.. მაგრამ თუ ასე უნდა მოვკვდე და დავიმარხო, თავისუფლება სიყვარული ვერ დავინახო,—შორს ეგ მონობა!..

მე არ მინდა თქვენი გალია! დე, ადრე გაქრეს, რაც წყვდიადში წარმავალია!.. მე ვიტანჯები, ალქაჯნი კი ფერხულს უვლიან ჩემს სათუთ ტანზე, მხ:მად ქცეულ ჩემს სიყვარულზე. რად? რისთვის?!..

თუ მონად მშობე, რად ვლალობდი შენს გაზაფხულზე?

მაგრამ გთხოვ: ვიდრე ბედკრულს სული არ ამომხდება, მე დამანახვე, მომასწარი თავისუფლება: ის ერთხელ მაინც მაგრძნობინებს ბედნიერებას და საფლავშიაც სიყვარულით მომაგონდება..-

შენ სდუმ, არ გესმის ჩემი ცრემლი, ჩემი გოდება?!.. **დარია ახვლედიანისა**

# მაშ რაღაა ახალი?!

გულშემზარავ წყვდიადს დღესაც ხომ ფართედ გაუშლია შავი ფრთები?!

კაცთა სისხლით მთვრალ ბოროტების მეუფეს წამებულთ გოდება დღესაც ხომ შვების მომგვრელ სიმღერად ადნება ყურში.

ობოლ სამშობლოს მტრის ისრით განგმირულ გულის კვნესა დღესაც ხომ ათრთოლებს ვაჟას მშობლიურ მთებს?!

ბარათაშვილის თანამოსაყდრე მტკვრის მკვნესარე დუდუნში გამოწრთობილი კაეშანი დღესაც ხომ აცრემლებს გრძნობიარე გულს?!.

სევდიანი ქარი დღესაც ხომ სევდიანად დაჰქვითინებს გულჩათხრობილ ივერიის წმიდა ნანგრევებს?!.

მწუხარე ქართლის დედის სისხლნარევ ცრემლებს დღესაც ხომ ჩამოულ:რავთ ჩამჭკნარი ლაწვები?!.

ოხ! მითხარით... მითხარით!.. მაშ რაღაა ახალი?!. **ს. კაეშნიშვილი**

# მ ე კ ვ ლ ე!

— კარი გამიღე!
— რა მოგაქვს?
— თაბახი, ცრემლით ავსილი;
ტყვიები, შუბი და ხმალი,
ხელებიც სისხლში გასვრილი...
—
— კარი გამიღე!
— რა მოგაქვს?
— სიმშილი, მწარე ტანჯვები:
თაფლის, ჩურჩხელის მაგივრად
ხალხის მხუთავი ჯაჭვები..
—
— კარი გამიღე! მომდევენ
თვალ-ცრემლიანი დედები,
ქალაქთ მაგივრად მოგართვი
გადახრუკული ქედები...
—
— გასწი, გამშორდი: შარშანაც
შენ მყვავდი მეფეხურ·თა,—
რა დაგიშავე, რას მერჩი,
რისთვის მე[1]ცევი მტრულადა?!.
**ვას. როინიშვილი**

### ახალი ჯარის-კაცის სიმღერა *)

ადექ და წადი წერილო,
შეირო, მ:რსკვლავისაო;
უამბე დაბარებრლი
საწყალი სალდათისაო:
გადაგვირიცს რუსებში,
გატანა გვინდა ხმისაო,—
გატეხას გამაგრება სჯობს—
ნაბძანებია ღვთისაო.
მოვიდა ტელეგრამაი
რუსეთის ხემწიფისაო:
ვისაც გნებავდეთ—გვიშველეთ,
ძალიან საქმე ჭირსაო.
ყველა გამოდით ქუდზედა,
დრო არის სისხლი ღვრისაო.
სტიკები დაბლა სისხლითა
ზარბაზნებს წვეთი ზღისაო.
ბევრი გმინავდა ვაშკაცი,
ვისაც ნატყვიარ სჭირსაო.
სწამლობენ დოხტურ-ფერშლები,
ნაჭრებში სისხლი ზდითაო.
სადა ხარ დაბადებული,
სად წერა ხდება სხვისაო,

დაწერილი ახალი სალდათისა
**გიგა ადამაშვილისაგან**

*) ეს ლექსი ძმასთან მონაწერი წერილის ნაწილიაო. ვბეჭდავთ სრულიად უცვლელად. რედ.



**მსახიობი ვ. მატარაძე**

ეს ერთი წელიწადია უსასყიდლოდ რეჟისორობს საბურთალოს აუდიტორიის სცენის მოყვარეთ. 3 იან. წრე უმართავს საპატიო გამოსათხოვარ წარმოდგენას, რადგან ვ. მატარაძე თავს ანებებს.

---

# ხელოვნების მოკლე ისტორია*)

## ბ ა ი ე ს ი

(ხუროთმოძღვრება.—ქანდაკება.—მხატვრობა)

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

პლასტიური ხელოვნებანი მხატვრულ ნაწარმოებთა საფუძველნი.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს თვით ხელოვნება. ამ რთულ საკითხს ესთეთიკა არკვევს. ჩვენ ეს სიტყვა ვიხმაროთ უბრალოდ, პირდაპირის მნიშვნელობით. საბერძნეთის ტაძარი ან გოტიური საყდარი, რაფაელის ან რუბენსის ნახატი ყველასათვის ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს.

ჩვენი საგანი კი პლასტიური ხელოვნებაა. ის, რასაც ჩვენის თვალით განვიცდით—ხუროთმოძღვრების შენაქმი (არქიტექტურა), ქანდაკება და მხატვრობა. თითოეული ამ ხელოვნებისა თავის მასალადა ხმარობს ნახატს, სადებავს, ხაზს ანუ ზოლს და ნაკვთიერებას (ფორმას). არქიტექტურა უმთავრესად ხაზებსა და გეომეტრიულ ნაკვთიერობასა ხმარობს. ქანდაკება კი, ცოცხალ არსებათა და საგანთა ნაკვთიერებას აყალიბებს და ზოგჯერ სისწორით გადმოაქვს მათი ნაკვთიერება, ზოგჯერ კი განგებ ცვლის ამავ ნაკვთთა სახეს და მოყვანილობას. არქიტექტურაცა და ქანდაკებაც დიდ ანგარიშს უწევენ აგრეთვე სინათლისა და ჩრდილის თამაშს, მათ შეზავებულობას. ამ ორ ხელოვნებათა ნაწარმოების გარეგნული მხარე ხშირად ფერადია, ან თავისი ნამდვილი ბუნებრივი ფერი აქვს, ან ხელოვნური, განგებ შეღებილი. ორივ ამ ხელოვნებათა ნაწარმოები მუდამ ხელ-მოსაკიდია, შესახები. სულ სხვაა მხატვრობა, ის მხოლოდ ზოლებისა, სხვა და სხვა ფერის სადებავისაგან შესდგება და ამასთან მხოლოდ თვალით დასანახია. მაგრამ სივრცის გამოსახვით (პერსპექტივის საშუალებით), ათას გვარ ფერადებისა და შუქის მიყენებით ხშირად ნამდვილ ცხოვრებას სწორ-უტყუარად სახავს. თითოეული ამ ხელოვნებისა მუდამ ცვლის თავის ტეხნიურ საშუალებას და წესს. ეს დამოკიდებულია ნაწარმოების ხასიათსა და დანიშნულებაზე მაგ. ქანდაკებაში არსებობს

---

*) ქართულს ენაზე სრულებით არ მოგვეპოვება უბრალო სახელმძღვანელოც კი ხელოვნების შესახებ და ამის გამო ჩვენმა რედაქციამ განიზრახა თავის ჟურნალში დაბეჭდოს საფრანგეთის განთქმულ არქეოლოგის და უმაღლეს განათლების დირექტორის ბაიეს ნაშრომი „ხელოვნების მოკლე ისტორია“, თარგმნილი შალვა დადიანის მიერ.

ბაიეს ნაშრომზე კი მიტომ შევჩერდით, რომ შემოკლებით, მაგრამ ძალიან ხელმოდებით აქვს თავისი „ისტორია“ დაწერილი: არც ერთი საყურადღებო ეპოქა და მიმდინარეობა არა აქვს გამორჩენილი, შეხედულებანიც თანამედროვე აქვს და ძალიან გასაგებათაც შედგენილი.

ბაიეს ღირსება კიდევ ის არის, რომ მიუდგომელია,ობიექტიური მწერალი და თვითონ თუმცა ფრანგია, მაინც ყველა ეროვნების ხელოვნება კეთილ-სინიდისიერად აქვს აღნიშნული.

სამწუხაროდ ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ თავ-თავის ალაგას ამ ნაშრომს ვერ ჩავურთეთ შენიშვნები სპეციალურად ქართული ხელოვნების შესახებ, განსაკუთრებით ჩვენი შესანიშნავი ხუროთმოძღვრებისა, მაგრამ ვინუგეშოთ იმითი, რომ ჩვენი ახალგაზდა სპეციალისტები ამ დარგსაც მიაქცევენ ყურადღებას და მომავალში გაგვაცნობენ ამ მხრითაც ჩვენს წარსულს.

ჩვენ კი დღეს-დღეობით ამ პაწია სახელმძღვანელოსაც დავჯერდეთ, რომ სრული უვიცნი არ ვიქმნეთ კაცობრიობის ხელოვნურ შენაქმისა. რედ.

სხვა და სხვა წესი ნაწარმოების შექმნისა — სტატუია, გორელიეფი, ბარელიეფი, ძვირფას თვალთა ამოჭრა (გლიპტიკა) და სხვ. მხატვრობაში კედლის — მხატვრობა, ნახატი, სურათი, ამოქარგვა, მხატვრობა ჭურჭელზე და სხვ. მხატვრული მრეწველობაც, რომელსაც ხშირად ხელოვნებაში ცალკე ადგილს აკუთვნებენ, ამავ ხელოვნებათა შემავალია. მაგ. ლამაზი ავეჯი, ერთსა და იმავე დროს არქიტექტურასთანაც არის შეერთებული თავისი მოხაზულობით და ქანდაკებასთანაც — თავისი ჩუქურთმებით ყველა ეს ხელოვნება შეიძლება სულ უბრალო, საყოველდღეო საგნებზეც იყვეს აღბეჭდილი მაგ. რომელიმე თეფში, დოქი, სურა ან შანდალი შეიძლება თავისი მოყვანილობით, მხატვრობით, ან სხვა გვარის შემკობით ხელოვნური იყვეს.

ყველა ზემოთქმული კი იმას გვიჩვენებს, რომ შეცდომა იქმნებოდა რომელიმე ხელოვნება ცალკე გაგვერჩია. მათ ყველას დიდი კავშირი აქვთ ერთმანეთში და უთუოდ ყველანი ერთი მეორეს ემყარებიან. ხელოვნების საუკეთესო ხანებში — ათინაში პერიკლოსის დროს, საფრანგეთში მეცამეტე საუკუნეში, იტალიაში რენესანსის, აღორძინების ხანაში -- ყველა ხელოვნება ერთგვარის სიმძლავრით არის გამოთქმული. ყველა შარვანდედ მოსილია. ყველა ერთის სულით არის გამსჭვალული და ისეთ მძლავრ საერთო სურათსა ქმნიან, რომლის გვარიც სხვა უფრო მდარე ეპოქებში ჩვენ აღარა გვხვდება. ზოგჯერ თვითონ ხელოვანნიც უარსა ჰყოფენ ხელოვნების დანაწილებას: მათ სურთ ყოველი დარგი ხელოვნებისა შეისწავლონ და გამოიყენონ ყველა მისი გამოსახულება. ამიტომაც ხშირად ერთსა და იმავე დროს ზოგი ხელოვანი ხუროთმოძღვარიც არის, მხატვარიც და მოქანდაკეც.

ხელოვნურ ნაწარმოების გასარჩევად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყოველ ხელოვნურ ნაწარმოებს აქვს თავისი ტეხნიკა, კომპოზიცია, გამოთქმა და შესრულება.

ტეხნიკა მასალებისა და მისი მოხმარების ცოდნაა. ხუროთმოძღვარი აგურისაგან სულ სხვა გვარ აშენებს შენობას, ხისაგან სხვა გვარ, ქვისაგან კიდევ სხვა გვარ და სხვ.; მოქანდაკეც მარმარილოზე სხვა წესით მუშაობს, ბრინჯაოზე სხვით და ძვალზეაც სხვა წესით. მასალათა განსხვავებას კი მხატვრულ ნაწარმოების იდეასა და სტილზედაც გავლენა აქვს. ეგვიპტელი მოქანდაკე, რომელსაც მასალათ კლდის მაგარი, ჯავარიანი და მეწამული ქვები ჰქონდა მოდელირობის *) წვრილმანს ნაკლებ აქცევს ყურადღებას, ასურეთის ხელოვანი კი დიდათ ჩაჰკირკიტებს ამ წვრილმანებს, რადგანაც მასალად მას უფრო რბილი ქვა აქვს.

კომპოზიცია კი ნიშნავს ნაწარმოების შემადგენელ ყველა ნაწილის ერთად შეკრებას და გარიგებას. რომ ცალ-ცალკე ნაწილები ისეთის უნარით იყვეს გაერთიანებული, გამოსთქვამდეს იმ იდეას და გრძნობებს, რომლებიც ხელოვანს უნდოდა გამოეთქვა. გოტიური ხუროთმოძღვარი ერთისა და იმავე მასალისაგან და ერთის და იმავე წესით აშენებს ეკლესიას, ციხე-დარბაზს და სახლსაც, მაგრამ ყოველთვის, მოთხოვნილების მიხედვით იგი მუდამ ახალ გეგმას ადგენს შენობისას და ახალ გარიგებულობას აძლევს მის შიგნითა მხარეს. რა გინდ შინაარსიც უნდა ჰქონდეს მხატვარს აღებული — დიდებული თუ მშვიდი, აღტყინებულ თუ აღტაცებული, იგი მუდამ სინამდვილეში ეძებს გამოსახატავ მაგალითს და სამუშაოდაც ერთგვარ მასალასა ხმარობს, მაგრამ ნაკვთთა მიმოხრილობა, მათი გამომეტყველება და მდგომარეობა მუდამ ჟამ სხვა და სხვა გვარია და ამითი გვიჩვენებს იგი გრძნობათა სხვა და სხვაობას, ან ერთისა და იმავე გრძნობის გამოსახვას სულ სხვა და სხვა მდგომარეობით. ხელოვანს თავისი შემოქმედება ბუნების დაკვირვებისაგან გამოაქვს, მაგრამ ეს დაკვირვება თვით მან უნდა გაარჩიოს, გამოარკვიოს და ისე მოგვაწოდოს ნაწარმოები. მან ბუნების ზოგიერთი სახე უნდა განგებ დაჩრდილოს და უკან დააყენოს, რომ სამაგიეროთ სხვა გააზვიადოს და უფრო ნათელ ჰყოს, რომ ამითი ჩვენზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოს. ყველა იმ წვრილმანთაგან, რომელიც მისთვის ბუნების დაკვირვებას დაუგროვებია, ერთი მთელი ნაწარმოები უნდა გამოიტანოს და ის გვაჩვენოს. საზოგადოთ კი კომპოზიციას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ზოგადი კანონები, მაგ-

*) მოდელირობას მოქანდაკეობაში სახისა და ნაკვთის ყოველ მიმოხრილობის სრულსა და ცხადს გამოსახვას ეძახიან.

რამ ხელოვანი სწორედ ამ დარგში უნდა იყვეს სრული თავისუფალი, თავის თავადი და დამოუკიდებელი.

მაგრამ შეიძლება ხელოვანი მშვენიერი ტეხნიკოსიც იყოს, კომპოზიციაშიაც მარჯვედ და გაგნებული და ნაწაროები მაინც მდარე შექმნას. ნაწარმოებში მთავარი საქმე შესრულებაა. შესრულება კი დამოკიდებულია თვით ხელოვანის აღზრდა-გაწვრთნაზე და მის თანდაყოლილ თვისებებზე. ხელოვანის ამ თვისებათა გამორკვევა კი ზოგჯერ ძნელია. რუბენსი „კოლორიტის“ დიდებული ხელოვანი მარტო იმიტომ კი არ იყო, რომ ის ფლამანდიელი იყო მოდგმით და ვენეციური მხატვრობა ჰქონდა შესწავლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებისაგან ჰქონდა ისეთი მგრძნობიერი თვალი, რომელიც საღებავთა შეზავებულობას და მათ წინააღმდეგობას ერთი მეორეში მეტად მახვილადა გრძნობდა, მაგრამ ეს თანდაყოლილი თვისებანიც, მისი ტემპერამენტის შემადგენელი, მაინც და მაინც მის გონებას და აღმაფრენას ემორჩილებოდა.

ყველა ზემო დასახელებული ელემენტები კი ერთად შეჰქმნიან სტილს (ყაიდა). ყოველ ხალხსა და ყოველ ეპოქას თავისი სტილი აქვს. ყოველი თავისთავადი მხატვარიც თავის სტილის პატრონია. მისი ტეხნიური უნარი, შედგენილობა მასალისა და გამოთქმა და ასრულება ნაწარმოებისა სხვებისაგან განსხვავდება. ამ გვარად სტილი ერთსა და იმავე დროს ახასიათებს, როგორც პირადათ მხატვარს აგრეთვე ეპოქას და იმ ეროვნებას, რომელსაც ხელოვანი ეკუთვნის. ძალიან ცოტა გამოცდილებაა საჭირო იმისათვის, რომ ადვილად გაარჩიოთ ასურეთის ხელოვნური ნაწარაოები ბერძნულისაგან. თვით ბერძნული ნაწარმოებიც მეექვსე საუკუნისა არა ჰგავს მეხუთე საუკუნის ბერძნულისავე ნაწარმოებს. ეგრეთვე ადვილია მე 5 საც ნაწარმოებთა შორის ფიდიუსის სტატუა პოლიკლეტის სტატუისაგან გაარჩიოთ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ყველა ჩამოთვლილს თავისი საკუთარი სტილი აქვს.

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

# ხალხური შემოქმედება

## სიმღერები

(ჩაწერილი ს. ფშაველში მართა ჯაჭვაძის მიერ)

I

ქალ, შენეული ბარათი
ვერ ვნახე ამის მეტათა,
წავიკითხე და დამადგა
გულზე ნათელი სვეტათა.

II

ქალმა სთქვა: ახალგაზდასა
სიცილით შევეპარები,
ისე დავწვამ დი დავდაგავ,
ახლოც არ გავეკარები.

III

დილით მზე ამოკაშკაშდა—
შენ გამოუძეხ წინაო;
ლამაზო, შენმა სურვილმა
არ დამაყენა შინაო...

—

## საწყალთა კერა

(ნენე დავითაშვილს)

მწარე ფიქრებით მოცული
ნენე ჩუმად ზის ქოხშია,—
ქმარი ეს ერთი წელია
რაც წაიყვანეს ომშია.

—

მოჰგლიჯეს კაცი ოჯახსა,
ცოლ-შვილი განსაცდელშია:
სიღარიბისგან, ვერ იქნა,
ველარ გასწორდა წელშია.

—

ახალი წელიწადია,
ვინ მიულოცოს საწყალსა,
უიმედოსა, დაჩაგრულს,
მუდამ ბედისგან გამწყრალსა.

**იაგო ტეტუნაშვილი**



კოტე ყიფიანი

# ყვავილები

## ბედი

ხუთი წლის შემდეგ, დღეს პირველად მოვკარი თვალი,
ელდა-ნაცემი შევაჩერდი სანატრელ სახეს...
აი, რა ძალუძს გაჭირვებას და სივაგლახეს,—
ძლივს და ვიცანი საცოდავი, საბრალო ქალი!..
რა რიგ გამხდარა, ჩამომჭკნარა, გაფითრებულა...
მიმქრალ თვალებში არც სიცოცხლე, ღარც იმედი...
აი, თურმე მის ლამაზ შუბლზე რა წერებულა,
აი, თურმე რას ჰპირდებოდა წყეული ბედი!..
თბილისი.

კ. ჭიჭინაძე

## ახალი წელი

დღეს ძველი წელი დავასამარეთ, ნაცვლად დაგვიდგა ახალი წელი
და მისმა მოსვლამ კვლავ განმიახლა ფიქრები ძველი, ფიქრები მწველი
ოჰ, დღეს კვლავ ერთხელ გადაიხარა ჩემი ცხოვრების საათის შვილდი,
დღეს ისევ ერთი წელი მომაკლდა და სამუდამოდ მას ჩამოვსცილდი.
ვდგევარ და ვფიქრობ... ვფიქრობ და გულში სევდა-ნაღველი იზრდება გუნდდება,
ოჰ, როგორ მიმძიმს იმის დაკარგვა, რაც არაოდეს დამიბრუნდება,
ოჰ, როგორ მიმძიმს, რომ შეუმჩნევლად უახლოვდები საფლავის კარებს..
თუმც თვით სიკვდილსა შევრიგებივარ, იმისი ფიქრი არ მამწუხარებს,
მაგრამ არ მინდა მანამ შეეხოს ჩემს სხეულს მისი ხელი უგრძნობი,
ვიდრე ამ ქვეყნად დამრჩება რამე გაუგებარი—გამოუცნობი...

გ. მეგრელიშვილი

## ელეგია

ზამთარი არის... ღამეა ცივი, შავ ღრუბელთ შორის დასცურავს მთვარე,
დაღვრემილია, ვით ჩემი სული, მარად ლტოლვილი, მარად მშფოთვარე;
ზამთარი არის... თოვლი ჯერ არ სჩანს, არ ფარავს ხეებს, შიშველს ბუჩქნარსა,
და ქარიშხალი სევდიან ხმაზე აკვნესებს ყველგან უხილავ ქნარსა.
აგერ ხმელ ფოთლებს მოჰხვია ფრთები და ხეს შესტყორცნა ამაყად ზევით,
ხეს მოაგონდა ტურფა ზაფხული და აცახცახდა ტოტების რხევით...
ასე ჩემ სიყრმის დამჭკნარ ყვავილებს მოგონებისა დაჰქროლებს ქარი,
თვალ წინ მიდგება დრო სანეტარო და ლაწვებს მწვავს ცრემლების ღვარი.
როგორ აწვალებს მთა და ბარს ქარი!! რა კარგი არის მალე მოსთოვდეს,
რა კარგი არის ცა დედამიწას მკერდზე თეთრს საბანს გადააქსოვდეს;
მაშინ ბუნება ძილს მიეცემა, წარსული დროც არ მოაგონდება,
ნაზი სიზმრები დაუტკბობს ღრმა ძილს და გაზაფხულიც მოახლოვდება.
ჩემს გრძნობათ ველზე თუმცა მოსთოვა, წარსული მაინც არ მავიწყდება,
სიყრმის გაზაფხულს ვსტოვებ, ვშორდები და ყოფნის ქნარზე სიმები წყდება.

ი. სიხარულიძე.



† ერმ. სოფ. ხუნდაძე

XX—ქვეითა ჯარის უფროსი ექიმი, დაიღუპა ოსმალეთის საზღვარზე სამსახურის აღსრულების დროს.



**ახალგაზდა მომღერალი**
**ვარდენ ლორთქიფანიძე**

მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობს. შარშან კონცერტი გამართა ქუთაისში. მისი პირველი დებიუტი გაიმართება სახაზ. თეატრში ამ მოკლე ხანში (მონაწილეობს ოპ. „ლაკმე“-ში. შეასრულებს ნიკოლანტოს პარტიას).

# ბედი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება. იხ. 1915 წ. „თ. და ც." № 42—52 *)

## მეოთხე მოქმედება

(მესამე და მეოთხე მოქმედების შუა გადის ექვსი თვე. სცენა: მარიამ დედოფლის საწოლი ოთახი)

I

**მარიამ დედოფალი**, ამისი შვილები: **თამარ** და **ჯიბრაილ** და ამათი გამდელი **მზეხათუნ**.

**მზეხათუნ** (შემოდიან შუა კარით.) ჰო, კარგია, კარგი, ერთი! გეყოფა მეთქი! სულ მაგას გეუბნები, სახეს ნუ იფუქებ, წარბებს ნუ ჭმუხავ, შუბლს ნუ იკეცავ, დედოფალო ჩემო! იფუქებ შენ მშვენიერს სახეს და ან რისთვისა შვრები მაგას?

**მარიამ**. ოჰ, გადია, დაანებე მაგას თავი! მომწყინდა, ენდე ღმერთს, შენი საყვედური. ვის რად უნდივარ ახლა მე და ვის რისთვის უნდა ახლა ჩემი სილამაზე?!

**მზეხათ**. მოგწყინდა ჩემი საყვედური?.. მე მოგწყინდი?.. ეს კარგი ამბავია! მე გაგზარდე, აი ამ ჩემს ახლა გამხმარს გულზედ და ახლა მოგწყინდი?.. დათხოვნას ხომ არ მიპირობ?.. როგორ არა, დაგიჯერებ და გავიქცევი, აი! შენ გავიწყდება, რომ მრთელ ციციანთ გვარის გამდლებში მე ვარ ყველაზედ უფროსი, რომ საქართველოს დედოფალი ამ ჩემი ძუძუთი არის აღზრდილი!.. მე ვერსად ვერ გამაგდებ!

**მარიამ**. ახა, ღმერთო! დაიწყო ახლა თავისებური ბუზღუნი!

**ჯიბრაილ**. დედა! დიდი ხანია შენ ჩვენთან აღარ გითამაშნია, დიდი ხანია არც გაგიცინია, როგორც იცოდი ხოლმე..

**თამარ**. სულ მოწყენილი ხარ, დედა, დაფიქრებული...

**მარიამ**. ოჰ, შვილებო, შვილებო! თქვენ არ იცით რა ამბავია ამ ჩემს დატანჯულს გულში, რა დროს სიცილ-ხარხარია, შვილებო? მე უქეიფოდა ვარ, მალე გამივლის და ისევ სიცილს დავიწყებ თქვენთან, ხარხარს და თამაშს.

**მზეხათ**. აბა, ბავშვებო, მოდით აქ, ტახტზე დასხედით და ითამაშეთ!.. ნუ ხარ, ქალო ჯიუტი! ჩემო მზეთ უნახავო! რა არის მართლა, გაშალე შუბლი, ერთი გამიღიმე!

**მარიამ**. მზეხათუნ! თავს ნუ მაბეზრებ! რა დაგემართა? რა არის, ჩემი სილამაზე ხომ არ შეგიყვარდა, რომ ჩამაცივდი, გაშალე შუბლი და გამიღიმეო!?

**მზეხათ**. კარგია, კარგი! ნუ ჯავრობ, ჰო, აი ახლავე დავუძახებ შენს ახალგაზრდა გოგოთა ამალას, ვამღერებ, ვაცეკვებ, ვათა-

---

*) მსურველთ, ამ პიესის დასაწყისი—„თ. და ც". №№, სულ 10 № გაეგზავნება 1 მ გამოგზავნით.

მაშებ და გამხიარულდებით შენცა და შენი შვილებიცა.

**მარიამ.** არ მინდა, ქალო, არა! არ დამეხსნები? ნურ:ვის ნუ დაუძახებ, არ მინდა! მარტოდ ყოფნა მინდა ამ ჩემს შვილებთან.

**მზეხათ.** დიახ, არ გინდა, ეს არის დაგიჯერე რაღა! შენს ოჯახში თავდარიგის მიმცემი მე ვარ და ეს ჩემი საქმეა და არა შენი. დამანებე თავი, როგორც უფროსს გამდელს, მე მეკითხება ყოველივე შენ ოჯახში, როგორც ძველად ქართველთა ჩვეულებაა და ადათია... ბავშვებთან გინდა დარჩენა, რა თქმა უნდა, კი არ გაგართობენ, ბრაზს მოგგვრიან! (გადის ბუზღუნით)

## II

**მარიამ, თამარ** და **ჯიბრაილ.**

**მარიამ.** უჰ! ხანდახან თავის მოზეზრება იცის ამ ჩვენმა გადიამ.

**თამარ**. იცი, დედი, გადია ხანდახან მცემს ხოლმე, როცა ავხირდები და ისე მწარედ იჩქმიტება, რომ...

**მარიამ.** მეც ბევრჯელ გაულახვივარ გადიას, როცა შენსავით პატარა ვიყავი. ეხლა კი მზად არის ჩვენ ყველანი დაგვლახოს თუ გავაჯავრეთ!

**ჯიბრაილ.** მე ველარ გამლახავს, ახლა მე დიდი ვარ!

**მარიამ.** თქვენ, შვილებო, გადია მზეხათუნი უნდა გიყვარდეთ, არ უნდა გააჯავროთ, ეგ დაბერდა და სულ ჯავრობს. ჩვენ ყველანი იმისი გაზრდილები ვართ, ყველაზედ უფროსი გამდელია. ყური უნდა უგდოთ ხოლმე, ჩვენ ვუყვარვართ და ამიტომაც პატივის ღირსია. ჯიბო, ნუ აჯავრებ მზეხათუნს, თორემ მართლადაც გაგლახავს როდისმე და მაშინ მე ველარ დაგეხმარები. ამ ოჯახში ყველაზედ უფროსია.

**თამარ.** (ჯიბრაილს) აბა გააჯავრე ერთი, ისე დაგჩქმეტავს, რომ სულ ცრემლებს გადენინებს!

**ჯიბრ.** დიახ, იმისი მე არ მეშინიან!

**მარიამ.** კარგია, შვილებო, დაწყნარდით! აიღეთ რუსთველის წიგნი და წაიკითხეთ!

**ჯიბრ.** ვეფხის-ტყაოსანი, დედი? შოთასი?

**მარიამ**. ჰო, შვილო, გადიკითხე ის ადგილი, გუშინ რომ გიჩვენე, ზეპირად დაისწავლე და მერე მითხარი. (ჯიბრაილ აიღებს რუსთველის წიგნს და თამართან ერთად დაიწყებს ხუმად კითხვას)

## III

იგინივე და **მზეხათუნ** ქალთა ამალით.

**მზეხათ.** აი, ახლა ვიმხიარულოთ!

**მარიამ.** შენ მაინც შენსას არ იშლი! აკი გითხარი, არ მინდა არც სიმღერა და არც ცეკვა-თამაში!

**მზეხათ.** როგორ თუ არ გინდა? მაშ ესენი აქ რად შემოვიყვანე და ხელსაქმეს მოვაცდინე?.. ითამაშეთ, იმღერეთ, იცეკვეთ!

**მარიამ.** ახა, ღმერთო! ნუ იცი ჩაციება ციებ-ცხელებასავით! არაფერი არ მინდა, არ გესმის, დედაკაცო?

**მზეხათ.** კარგი, კარგი, ბატონო! არ გინდა! იყვეს ნება შენი! შენი გართობა მინდოდა, ჩემო მზევ, მოწყენილი რომ ხარ... არ გინდა და აგრე იყოს... ეჰ, შემოგხედავ თუ არა, გული სევდით მევსება, რომ ე მაგისთანა მზეთუნახავი მშვენიერება აგრე ჰზიხარ და სწუხარ!.. გათხოვდი და ყოველი სევდა გაგივლის!

**მარიამ.** გავთხოვდე? შენ ხომ არ აპირებ ჩემ შერთვას?

**მზეხათ**. იჰ, მე რომ ვაჟკაცი ვყოფილვიყავი, განა მოგშორდებოდი, ისეთი კარგი რამ ხარ, რომ შენს კალთას კევივით დავეკვროდი.

**მარიამ.** თავი დაანებე მაგისთანა მასხარაობას, ხომ იცი რომ მე ეგ მეჯავრება და არ მიყვარს როცა შენ აგრე ხშირად მაგონებ ჩემ სილამაზეს!.. ეჰ, ჩემო მზეხათუნ, ვის რაღად გამოადგება ახლა ჩემი სილამაზე, რომელიც ქკნება და ჭკნება.

**მზეხათ.** რა გიყვარს და რა არ გიყვარს, ეგ ჩემი საქმე არ არის! ვის რაღად გამოადგება შენი სილამაზე, შენა ბრძანებ?.. არავის არ უნდა?.. ლაზარე ღენერალს განა არ მოსწონს შენი სილამაზე?.. სულ შენს ბოდვაშია! რამდენჯერ უჩუქებია ჩემთვის ფული, რომ იმასთან მარტოკა დამეტოვებინე...

**მარიამ.** ქკუაზედ ხომ არ შეიშალე, რომ მაგას ამბობ, ამათთან?

**მზეხათ**. რა არის მერე?.. შენ შვილებს არ ესმით, აგერა წიგნზედ არიან თავ-დაღუნული და ეს გოგოები კი სულელები არიან, რას მიხვდებიან?!

**მარიამ**. გეყოფა! კარგი! თავი მომაბეზრე, ჩემმა მზემ!.. ლაზარევი?.. ღმერთმა შეინახოს, რას მარგია იმისი სიყვარული?

**მზეხათ**. არ მისთხოვდებოდი?

**მარიამ**. ვისა?.. ლაზარევს?..

**მზეხათ**. დიახ, იმას, ჰო, ღენერლის ცოლი გახდები...

**მარიამ**. ღმერთო ჩემო! დღეს შენ ჭკუაზედ შემცდარხარ!.. რაებს მიჰქარავ?! მე, ჩემს დედოფლის ღირსებას გავცვლი ღენერლის ღირსებაზედ?!. შე სულელო, დღეს რამ გამოგაშტერა? მე ხომ საქართველოს დედოფალი ვარ!..

**მზეხათ**. დედოფალი!! იჰ, იჰ, იჰ!.. სამეფო გაგიყიდნიათ და დედოფალი კი ბრძანდები!.. რის დედოფალი ხარ ახლა? შენ ხარ უწინდელი მეფის ქვრივი და სხვა არაფერი! და ახლა ცარიელზედა ბრძანდები!.. ძვირად გაჰყიდეთ სამეფო?.. აი, შემოუშვით აქ უცხონი, რაც გებადათ ყველა იმათ დაუთმეთ და ახლა... დედოფალი ვბრძანდებიო! უჰ, უჰ, უჰ! რა დიდი რამ ქალბატონი ყოფილხარ!

**მარიამ**. გეყოფა, მეთქი, ყბედობა! არ გესმის? სიბერისაგან, მგონია, ჭკუა შეგთხელებია შენა!

**მზეხათ**. დიახ, თქვენთან ყოფნით ჭკუაც შეუთხელდება ადამიანსა და სხვა ყოველიფერიც, რომ ჭკუას მიუწდომელ საქმეს სჩადიხართ!

**მარიამ**. ახა, ღმერთო!.. რა უნდა გელაპარაკო, გამოტვინებულო ბებერო, რომ არა გესმის რა, ბუზღუნის მეტი!.. წადი, წაიყვა ბავშვები ბიძია ბაგრატასთან!.. ოთარ ამილახორზედ ვინც გაგზავნე ჯერ არ მოსულა?

**მზეხათ**. დიდი ხანია მოვიდა, მთელი ქალაქი შემოვირბინე და ამილახორი ვერსად ვერა ვნახე.

**მარიამ**. მამი ჩემის მსახური ხომ არ მოსულა?

**მზეხათ**. ჯერ არა, არ მოსულა!

**მარიამ**. კარგია! წაიყვა ბავშვები ძიასთან.

**მზეხათ**. თქვენ, ეჰე! ადექით, თამრო, ჯიბო, წამოდით ძია ბაგრატი ვნახოთ. (ამადგას) თქვენც წადით სიჭირო აღარა ხართ.

**მარიამ**. წადით, შვილებო და ბიძია ბაგრატი მომიყვანეთ აქა.

**ჯიბრაილ**. ესა?.. ვეფხის ტყაოსანი?

**მარიამ**. მერე იყოს, შვილო, მერე! (გასვლენ უველანი, მარიამს გარდა)

## IV

**მარიამ**. (მარტო) ოჰ, ღმერთო! რა სულელია ეს გამდელი! სულ ლაზარევზედ იძახის. უყვარხარ და უყვარხარო!.. დაე, ვუყვარდე, რამდენიც უნდოდეს, თუმცა ეს მე საწყენად მამაჩნია, მაგრამ იქნებ. დამეხმაროს როგორმე და ხელი გამიმართოს ჩემს ბედში და შემისრულოს რამე სასარგებლო საქმე... არა, არა! იმისი ნდობა საეჭვოა და იმისაგან კეთილს რასმე არ უნდა ველოდე!.. არა, არა!.. თუ დამეხმარება ვინმე, დამეხმარება მხოლოდ ისევ საყვარელი მამა ჩემი და სხვა არავინ!.. ნეტა ვიცოდე, აქამდისინ რატომ არას მატყობინებს ჩემს გასვლაზედ ამ ქალაქიდან, ეს ძალიან მაწუხებს... გაპარვა იმერეთს, სოლომონ მეფესთან... რა გამოვა?.. ვითომც დამიხსნის მე და ჩემ შვილებს რუსებისაგან?.. არა მგონია!.. მაშ, რა ვქნა, რა ვქნა ღმერთო, ძლიერო შენ ჩამაგონე!.. ჩემი დარჩენა თბილისს აღარ შეიძლება... ყოველგან მზვერავები დამსდევენ, ყოველს ჩემს ნაბიჯსა სთვლიან... ლაზარევის დარაჯნი სახლის გარს შემორტყმულ არიან და ფანჯრებშიაც კი იჭყიტებიან... თვითონ ლაზარევი დღეში ორჯელ მოდის, თანაგრძნობას მიცხადებს. სამსახურსა მთავაზობს... ჰმ!.. პოლიციის უფროსი ყოველ დილით აქ არის, მსახურთ ეჩურჩულება, ეკითხება ჩემზედ, ვინ იყო ჩემთან, რაზედა გვქონდა მუსაიფი, რასა ვჩავდივარ... ოჰ... აუტანელი მდგომარეობაა... გადუწყვეტელი ბედი ჩემი და ჩემი შვილებისა, არ ვიცი, რა მოგველის... მთავრობისაგან შევიწროება, ჩემთა ნათესავთა დაუცხრომელი მტრობა და ღალატი... სულ ეს მაწუხებს დავსტოვო ჩემი მიწა-წყალი, ჩემი სამშობლო და იმერეთს შევაფარო თავი... მაგრამ... შეიძლებს კი სოლომონ მეფე ჩემს

მფარველობას?.. იმერეთში ახლა ისეთივე არეულობაა, როგორც აქ იყო. სოლომონის მტერნი მოსვენებას არ აძლევენ... რა ჩემი თავისა სცხელა ახლა იმას... ღმერთო, შენ მოხედე! ღმერთო ყოვლად მოწყალეო, შენ მომეც მე ძალა და მიხსენ მე!.. სპარსეთს მივმართო?.. ანუ ოსმ ლეთს?.. მერე ჩემი სილამაზე? დამღუპავს სრულებით ეს ჩემი სილამაზე!.. დავიმახინჯო თავი? რა გამოვა? მიშველის რამეს სიმახინჯე? არა, უარესი მომივა... აჰ... რა ვქნა, რა ვქნა? რა გზას დავადგე? ყოვლად სახიერო ღვთისა მშობელო, შენ დამაყენე რიგიან გზას... როგორ ავიტანო ეს საშინელი ტანჯვა?.. ციციშვილს მივმართო? მგონია ურიგო არ იქნება! როგორც მთავარმართებელი საქართველოსა და იმპერატორის რწმუნებული კაცი და როგორც ჩემი ნათესავი, შეიწყნარებს ჩემს ვედრებას, იცნობს ჩემს მწარე მწუხარებას და თავს დამანებებს, დამაცლის აქ გავათიო ჩემი სიცოცხლე... შვილები?.. ჰმ!.. შვილები! ამათზე ფიქრია საჭირო... ოჰ, შვილებო, რა მომავალი მოგელისთ, რა ბედის ვარსკვლავი აღმობრწყინდება თქვენს თავზედ?.. თავი მოვიკლა?.. ეჰ, აქედანაც არა გამოვა რა, მხოლოდ მტერი გაიხარებს და ნიშნს მომიგებს... ბაგრატი და ოთარი?.. ჰო, ამათ შეუძლიანთ ჩემი შველა... მაგრამ... არა... ორივე რუსთა მომხრენი არიან და დიდი ერთგულნი, მე ესენი არ გამომადგებიან... მამა?.. ჰო... საქმე მამაზედ არის დამყარებული ახლა, მაგრამ აქამდისინ რომ არსადა სჩანს, ლამის ჭკუა შემეშალოს.

**კ. ყიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

# გასული წელი

(მოკლე მიმოხილვა)

**ცხოვრება** გასულ წელს თანდათან უარესდებოდა; ომიანობის გაძლიერებამ მოითხოვა ახალ-ახალი მსხვერპლი, ბრძოლის ველზე გაიხმეს შეღავათიანები და ახალგაზდანი, ვადაზე ადრე, სოფელსა და ქალაქს მოაკლდა მუშა ხელი, ბევრ წარმოებას მწარმოებელი ხელი, დასავლეთ საქართველოს წყალდიდობამ უზომო ზიანი მიაყენა, აღმოსავლეთ საქართველოში მოუსავლობამ დასცარა ხალხი, პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე თითქმის ერთი სამად და ხუთად იმატა ფასმა, მიმოსვლის მოუწეს-რიგობამ ქვეყანა გასაჭირში ჩააგდო...

**თეატრი** თუმცა ხალხით ივსებოდა, მაგრამ მუდამ თავის შესაფერის დონეზე ვერ იდგა; მაყურებელ საზოგადოებას უმეტესად ძველი პიესებით ჰკვებავდა, აღმსრულებელი ძალნიც—მსახიობნი და სცენის მოყვარენი—ომიანობით გამოწვეულ მშფოთვარს ცხოვრების გამო თავის მოვალეობას ყოველთვის ღირსეულად ვერ ასრულებდენ.

**თბილისის ქართ. დრამ. დასი** დაქსაქსული იყო, მსახიობნი წარმოდგენებს მართავდენ კლუბთა სცენებზე; დრამ. საზ. გამგეობამ წლის მიწურულს ძლივს იშოვა დღეები სახ. სახლში და ცირკში. დასი უკეთეს მსახიობთაგან შეადგინა და სუბსიდია გაუჩინა. იგივე დასი წარმოდგენებს სდგავდა: ხარფუხის, ხელოსანთა, ნოქართა და სხ. კლუბის სცენებზე. საზოგადოება მუდამ ესწრებოდა.

**სახალხო სახლთან** არსებული წრე გაცილებით უკეთეს პირობებში იყო: წარმოდგენებს წესიერად მართავდა, გამოცდილ რეჟისორის კ. შათირიშვილის ხელმძღვანელობით, ხალხიც მრავლად ესწრებოდა. რეპერტუარი—უმთავრესად თანამედროვე პიესები, ნათარგმნი და ორიგინალური იყო. სახალხო სახლს უკვე თავისი მუდმივი მაყურებელი ჰყავს, წრის გამგეობა და სცენის მოყვარენი ბეჯითად მუშაობდენ. სახალხო სახლში სხვა ერთა წრეებიც მართავდენ წარმოდგენებს, მაგრამ არც ერთს იმდენი ხალხი—ნამდვილი ხალხი, არ ესწრებოდა, რამდენიც ქართულს.

**ავლაბრის წრემ** შემოდგომის სეზონი ველარ დაიწყო, რადგან შენობა ჩამოართვეს. აქა-იქ მუშაობდენ შემთხვევითი სცენის მოყვარენი.

**ნაძალადევის თეატრში** სცენის მოყვარენი მუდმივ სდგამდენ წარმოდგენებს ადგილობრივი წრის თაოსნობით.

**საბურთალოს თეატრში** ახალმ გამგეობამ დაიწყო წარმოდგენები; ზოგჯერ სალიტერატურო დილა-საღამოებსა და ლექციებსაც მართავდენ.

**მუსულმანთა აუდიტორიაში** შემთხვევითი სცენის მოყვარენი მუშაობდენ. წარმოდგენებს გამოცდილი ხელი აკლდა.

**კლუბთა შორის** უფრო მეტი კულტურულ-საზოგადოებრივი ალღო გამოიჩინა „ხარფუხის საზოგადო კლუბმა“, რომელიც ახალ შენობაში გადავიდა, მოაწყო სცენა, ქართ. დრამ. დასს კვირაში ერთი საღამო დაუთმო, ხოლო თვითონ მართავდა მუსიკალურ, სალიტერატურო და სხ. საღამოებს. „ახალმა კლუბმა“ დამწვარ თეატრის ნაფერფლზე ააგო ახალი კოპწია სცენა, უცხო და მოწყობალი, წარმოდგენების სეზონი დაიწყო ქრისტეშობისთვის მიწურულს. „ნოქართა კლუბიც“ დრო გამოშვებით მართავდა ქართ. წარმოდგენებს.

**ქუთაისის დრამ. საზ-ბამ** სეზონის გაძღოლა თვით ვერ იკისრა, მაგრამ შალვა დადიანის თაოსნობით შედგენილ დასს კი ხელი შეუწყო და დასმაც—„ახალი დრამის“ სახელწოდებით—წარმოდგენები დაიწყო; დასში ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მსახიობნი არიან. დასმა თანდათან მიიზიდა საზოგადოება, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი და მოზარდი თაობა რეპერტუარი: თანამედროვე, კლასიკური და ისტორიული პიესები. რამდენიმე ახალი პიესაც დასდგა. ამავე დასმა რამდენიმე წარმოდგენა გამართა ბითომში.

**ბაქოს დრამ. წრემ** თადარიგი ადრევე დაიჭირა, დიდი ბეჯითობაც გამოიჩინა და საუკეთესო რეჟისორიც (ვ. შალიკაშვილი) გაიწვია, რომლის მონაწილეობით რამდენიმე წარმოდგენაც დადგა, რომელსაც აუ რებელი ხალხი ესწრებოდა, მაგრამ ოთხი თუ ხუთი წარმოდგენის შემდეგ ვ. შალიკაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა (პლექით) დასს ჩამოშორდა, რის გამოც წრემ რეჟისორად ი. ზარდალიშვილი მოიწვია. წარმოდგენები შეუწყვეტლივ იმართებოდა (საკუთარი ბინის უქონლობის გამო) სომეხ. კულტ. საზ-ის დარბ.

**დ. ხაშურის დრამ. წრემ** გასულ წელსაც დიდი ბეჯითობა გამოიჩინა და წარმოდგენებს შეუჩერებლივ მართავდა, განსაკუთრებით ზაფხულში.

**ჭიათურაში** სცენის მოყვარეთა წრე მუშაობდა ვ. არაბიძის რეჟისორობით.

**ბათომს, სიღნაღს** და **ბაქოს** ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრენი შესდგა.

**ველისციხეშიაც** ადგილობრივი სცენის მოყვარენი მუშაობდენ.

**ქ. გორს, ქ. თელავს** და სხ დაბა-სოფლებში იშვიათად იმართებოდა წარმოდგენები, უმეტეს მოსულ მსახიობთაგან.

**კულტურულმა მუშაობამაც** ფრთა გაშალა; შესდგა საგანმანათლებელო საზოგადოებათა კავშირი (წესდებაც დაუმტკიცეს), ქ. შ. წ. კ. ს. ის საზოგადო კრებამ საწევრო გადასახადი 1 მ. დაიყვანა, საზოგადოების კრებებს მუდამ ბლომა ხალხი ესწრებოდა, საქართველოს ზოგ დაბა-სოფელშიაც დაიწყეს მუშაობა. ქართ. კულტურის მოყვ. საზოგადოება წესიერად მართავდა კრებებს, რომელზედაც სხვა და სხვა მოხსენებათ კითხულობდენ და კამათი იმართებოდა, აგრეთვე ს. სტორიო-საეტნოგრაფიო საზ-ამ რამდენიმე საჯარო კრება გამართა. გასულ წელსვე შესდგა ქუთაისში სახ. მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება.

**ქართულ ეროვნულ მუსიკას** გაცოცხლება დაეტყო. დ. არაყიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. სულხანიშვილი და სხ. სასულიერო და საერო ჰანგებს ჰკრებდენ და იმუშავებდენ. კომპ. კ. ფოცხვერაშვილმა რამდენიმე საერო—სასულიერო კონცერტი გამართა, ლექციითურ, ზ. ფალიაშვილმა სრულ ჰქმნა თავისი ოპერა. აღსანიშნავია მ. კავსაძის მიერ გამართული ხალხური კონცერტებიც და წლის მიწურულს ქართულად დადგმული (ორჯელ) ოპერა „რიგოლეტო“, კ. დოდაშვილის მ ერ თარგმნილი. ნამდვილი ქართული ეროვნული ოპერა ჯერ კიდევ ვერ ვნახეთ, მაგრამ იმედია, მალე ვნახავთ: ქართულ ეროვნულ ჰანგების შეკრება-დამუშავება და ქართველ ახალგაზდა მომღერალთა—ქ-ნ შავერზაშვილის, ბბ.

ინაშვილის, ლორთქიფანიძის, ლეჟავას და სხ. გამოჩენა ამისი თავდებია.

**ქართული მხატვრობა** განვითარების საკუთარი გზის ძიებაშია. ეს დაგვიმტკიცა მ. თოიძის გამოფენამ. გასულ წელსვე გამოჩნდნენ უფრო გაბედვით—ახალგაზდა მხატვარნი (ვ. ს.-ერისთავი, ა. ციმაკურიძე, შ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, გ. მესხი და სხ.), რომელნიც შეუდგნენ ქართველთა ყოფა-ცხოვრების დასურათხატებასა და ქართველ მწერალთ ნაწარმოებთა დასურათებას...

**მოქანდაკობა** თითქმის ერთი კაცის—ი. ნიკოლაძის—ხელთვე იყო. მან შეჰქმნა აკაკის ალამა და ორიოდე რამ. ამ დარგში სანუგეშო იმედს იძლევა მსახიობ-მხატვარი—მ. ჭიაურელი.

**ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ** ცაზე კი... „ღრუბლები აირია", თხუთმეტი წლის წინად და მას შემდეგ წარმოებული პარტიული კამათი დროითი დრო კიდევ იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ თითქმის ყველა წრე ჩვენს ეროვნულ ერთიანობას მოითხოვდა.

სამაჰმადიანო საქართველოდან რამდენიმე ჯგუფი სამართალში მისცეს, როგორც სახელმწიფო მოღალატენი, მაგრამ ეს ბრალდება უარყოფილ იქმნა; მიუხედავად ამისა, ზოგიერთნი დასაჯეს. ქართველი მაჰმადიანები-აჭარლები დაუახლოვდენ ძველ მოძმეთ—ქრისტიან ქართველობას. კავკასიელ მაჰმადიანთა და ჩვენს შორის მეზობლური ურთიერთობა უფრო განმტკიცდა.

**კოოპერატიულმა მუშაობამაც** განზე გაიწია და საქართველოს რამდენიმე დაბა-სოფელში დააფუძნეს ესა თუ ის ამხანაგობა, წლის მიწურულს კახეთში შესდგა კახეთის კოოპერატორთა კავშირი.

**ჟურნალ-გაზეთებს** მაინც და მაინც კაი ამინდი ვერ დაუდგა. ქაღალდისა და სხვა სამუშაოს უზომო გაძვირებამ ბევრს გაუჭირა საქმე და მოულოდნელი ხარჯები მოსთხოვა. უქაღალდობისა გამო წლის დამაწყისშივე დაიხურა:

„შადრევანი", „თემი", „ახალი კვალი". შუა წელში—„ხმა კახ." და „ახ. ქართ." გამოდიოდა თბილისში გაზეთები: „სახალხო ფურცელი", „თანამედროვე აზრი", „საქართველო" („კლდე" ს მაგიერ), საორშაბათო „ზვირთი"; ჟურნალები: „განათლება", „თეატრი და ცხოვრება" (შეუჩერებლივ) და „ეშმაკის მათრახი"; საყმაწვილო: „ნაკადული" და „ჯეჯილი". ქუთაისში გამოდიოდა: გაზ. „სამშობლო", შემოდგომიდან—„მეგობარი", ჟურ. „განთიადი". თბილისში გამოსაცემად განზრახული „ახალი მოამბე" უქაღალდობის გამო და მუშათა უშოვნელობით ველარ გამოვიდა. დღიური გაზეთები უმეტესად საპოლემიკო, პუბლიცისტურ ხასიათის წერილებითა და ომის ამბებით კვებავდენ მკითხველთ.

**მწიგნობრობის ბაზარს** საიმედო არასფერი შესძენია: გამოიცა ორიოდე სამეცნიერო წიგნაკი, აჭარელთა შესახებ გაზეთი და სხ.

**ქართული დრამატურგია** არ იყო ნაყოფიერი: დუტუ მეგრელის „მწირი სარდალი", დ. მესხის—„მოფურჩხულია", გრ. საქარიქედელის „მოსე მწერალი" (გადმოკეთებული), ტრ. რამიშვილის „ქკუა მხიარული", ს. ერთაწმინდელის „ლურჯი ხალათი" და სხ. გასულ წელსავე დაიწყო ჩვენს ჟურნალში კ. ყიფიანის პიესის „ბედი ქართლისა" ბეჭდვა. მართალია, ბარე ოცამდე პიესის სახელი გამოცხადდა, მაგრამ ჯერ არც ერთს სცენა არ უნახავს. საზოგადოდ ჩვენმა დრამატურგებმა გასულ წელს თითქმის ვერაფერი შექმნეს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება კი მდიდარს მასალას იძლევა დრამატიულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

**ბელეტრისტიკაც** ვერ იყო ნაყოფიერი: თვალსაჩინო ვერაფერი გამოჟღავნდა; დიდი ჟურნალის უქონლობის გამო, ჩვენი მწერლები განსაკუთრებით მინიატურების წერას მისდევენ.

**გარდაიცვალნენ:** აკაკი, ნიკო ლომოური, ვაჟა-ფშაველა, ვ. გელოვანი, ჭოლა ლომთათიძე.

ვისურვოთ ეს მომავალი წელიწადი მაინც ნაყოფიერი იყოს ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების, თეატრისა და მწერლობისათვის და ასეთ ზარალსაც, რაც დაგვემართა, ავცდენოდეთ...

**ი—თელი**

# სახ. თეატრის ისტორია

## მოგონებანი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." 1915 წ. № 51)

1898 წლის ენკენისთვიდან განახლდა წარმოდგენების მართვა 1899 წ. მაისამდე. სექციაში ირიცხებოდნენ: მარ. დემურია, გ. ლასხიშვილი, ი. ქუთათელაძე, თავ. ს. რ. ვახვახოვი და სვ. ჯუღელი. მთელ სეზონში სექციამ ავჭალის აუდიტორიაში დასდგა 14 წარმოდგენა, დაესწ. 4,466 კაცი, ყველა რიგების ფასი ისევ მაური იყო. სულ შემოვიდა 223 მ. და 30 კ. ამას გარდა შემთხვევით შემოწირული 4 მ. 30 კ., სულ 227 მ. და 60 კ. და იხარჯა 249 მ. და 50 კ. ზარალი იყო 21 მ. და 90 კ. რომლის ნაწილი სცენის მოყვარეებმა და სექციის წევრებმა გადაიხადეს. ამ სეზონში მონაწილეობდენ თითქმის წინანდელივე მუშაკნი: ქალნი—მ. დემურია, ს. ციციშვილი, ეკ. წულუკიძე, გვარამაძე, ტუშმალაშვილი, ოლ. ხავთასი და წერეთელი. კაცნი: გ. ანანიაშვილი, დ. შველიძე, მ. თუმ. მალიშვილი, ის. ძნელაძე, იოს. იმედაშვილი, ერ. გუ- ლისაშვილი, სვ. ჯუღელი, ილიკო ზურაბიშვილი, ილ. სუხიშვილი, გ. ჯაბაური და სხ. ამ სეზონში, 14 იანვარს ს. ავჭალაში სასწავლებლის დარბაზში ერთი წარმოდგენა გაიმართა გლეხებისათვის უფასოდ („ციმბირელი" ცაგარლისა). ამ წარმოდგენაში პირველად გამოვიდა (მაშიკოს როლში) იქაური მდვდლის ქალი ოლა ლეჟავა (ახლანდელი ქართული თეატრის მსახიობიქალი). ამავე სეზონში სექციამ ორი წარმოდგენა „ნაძალადევში გამართა (რომელზედაც ქვეით გვექნება ლაპარაკი) და ამით გათავდა ეს სეზონიც.



**გ. მ. ლასხიშვილი**
სახ. თეატრის სექციის წევრი. ზოგჯერ სცენაზედაც გამოდიოდა.



**იერ. გულისაშვილი**
სახ. თეატრში სცენის მოყვარეთ ხშირად ჰრეჟისორობდა



**ი. ზურაბიშვილი**
1899—1914 წწ. მუდმივი სცენის მოყვარე.

**გ. ჯაბაური**

(გაგრძელება იქნება)

# ქართული სახიობა

**ბაქოს დრამ. წრემ** პარასკევს, 18/XII, ავადმყოფ მსახიბ-მწერლის ვ. შალიკაშვილის სასარგებლოდ წარმოადგინა პიესა „ზღვასთან" და ვოდევილი „ვაი ყობოს". პიესა ჩინებულად ჩაატარეს ბ-ნმა ი. ზარდალიშვილმა (მეთევზე), ქ-ნმა ქილარჯიშვილმა (მისი ცოლი) გ. პავლიაშვილმა (პასტორი) და ქ-ნი წულუკიძისამ. ბ-ნი ა. პავლიაშვილი (ექიმი) აჭარბებდა. დრამის შემდეგ ბევრი აცინა საზოგადოება ბ-ნმა ზარდალიშვილმა ვოდევილში. საზოგადოება დიდძალი დაესწრო და წარმოდფენის გათავებისას კმაყოფილიც დაიშალა. წმინდა შემოსავალი დაახლოვებით 600 მან. უდრის.

გულისაბა

**დ. ლანჩხუთში** 20/XII ადგილობრივ თეატრის შენობაში უმაღ. პირ.-დაწყებითი სასწავლებელთან არსებულმა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომისიამ გამართა სალიტერატურო საღამო სამ განყოფილებად: I განყ. მგალობელ ვაჟთა გუნდმა მწყობრად შეასრულა სამეფო ჰიმნი; შემდეგ სხვა და სხვა სკოლის მოწაფეებმა წაიკითხეს ქართ.-რუს, ლექსები, ვაჟთა გუნდმა შეასრულა ქართულად „მაღლიდან გადმომდგარიყო", რუსულად—ოპერიდან, და ბოლოს ქართულადვე—„სამშობლო", რომელმაც დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა და საზოგადოების თხოვნით გამეორებულ იქმნა. II განყ. მგალობელ ქალთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე სიმღერა და მოწაფეებმა ლექსები წარმოსთქვეს. შემდეგ წარმოადგინეს საყმაწვილო პიესა „პეტრიკა მოიწამლა". III განყ. დასდგეს ცოცხალი სურათები, ბოლოს გაიმართა ქალთა ცეკვა. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და დიდი ნასიამოვნებიც დარჩა. პატარა ქალიშვილებმა საუცხოვოდ წაიკითხეს ლექსები, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს, ეტყობოდა, მასწავლებლები დიდად გარჯილიყვენ.

წმიდა შემოსავალი მოხმარდება ღარიბ მოწაფეებს. დიდი მადლობის ღირსია სასწავ. ინსპექტორი მამა ეპ. ჩხაიძე, ქალთა პროგიმნაზიის—ქ-ნი გამგე, ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი, და ყველა ის მასწავლებელი ანუ გარეშე პირი, რომელმაც ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს ხელი შეუწყო.

პ. ლესელი

# წვრილი ამბები

**ქართ. თეატრის** დაარსების აღსანიშნავად ქართ. დრამ. დასი თბ. „ახალ კლუბში", ხოლო „ახალი დრამის" დასი ქუთაისში და სხვა დაბა-ქალაქთა წრენი 2 იან. სხვათა შორის, წარმოად. „სამზადის"-ს.

**ქუთაისის ქ. შ. წ. კ. ს.** განყოფილებამ წიგნების გავრცელებისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრაში მოაწყო 20-დე აგენტურა, ასეთსავე აგენტურებს აწყობს გურიასა და ოდიშს. საქმეს თაოსნობს წიგნთგამომც. კომისიის თავმჯდ. სილ. ხუნდაძე

✦ **ხარუუხის კლუბის** მამასახლისთა საბჭოს ახალი წლის შესაგებებლად ფრიად საყურადღებო პროგრამა შეუდგენია.

✦ **პ. ირეთელი** სწერს ახალ 4 მოქ. პსიქოლოგ. ხიესას. პიესაში დასურათებულია თავად-აზნაურული და დემოკრატიული ინტელიგენცია.

✦ **ს. გლახაშვილის** პიესა „ზორვად“ (მსხვერპლი) ს. აბ—მა რუსულად სთარგმნა და, როგორც შევიტყვეთ, ა. წუწუნავა ფიქრობს, რუსულ სცენაზე დასდგას.

✦ **შ. შარაშიძის** პიესა „ავგაროზი“ გადითარგმნა რუს. ენაზე და მოკლე ხანში დაიდგმის.

✦ **ს. აბაშელმა** სთარგანა პიესა „სამი მეფის სიყვარული“.

✦ **ვაჟა-ფშაველას** საღამო ნაძალადევში გაიმართება კვირას, 3 იანვარს.

✦ **გორში** 6 იან. ქართველ მსახიობთა მიერ, ელ. ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

✦ **გამოვიდა** ახალი წიგნაკი „საახალწლო წკიპურტები“, შედგ- ნისლისა, გამოც. ისრისა. 16 გვ. ფ. 10 კ.

✦ **მ. ვ. მაჩაბელმა გვაცნობა**, ქართულ საქველმოქმედო საქმეთა კარგად მართვა-გამგეობა მხოლოდ მე არ მომეწერება. ჩემი ამხანაგებიც—გამგეობის ყველა წევრი და საზოგადოებაც—თავგამოდებით მუშაობენ ჩვენი დაზარალებული ხალხის სასიკეთოდაო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მ. ვ. მაჩაბელი თანამშრომლობდა არა ილ. ჭავჭავაძის, არამედ ილ. ჭავჭავაძისეულ გაზ. „ივერია“-ში. ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობის დროს.

✦ **ნ. გვარაძე** საბენეფისოდ ქუთაისში 13 იანვარს სდგავს ახალ პიესას „მოლიპულ გზაზე“-ს, ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან ვ. გარრიკის მიერ გადმოკეთებულს.

✦ **სომეხთა** სახელ განთქმული მსახიობი გ. ჩიმიშკიანი გარდაიცვალა პეტროგრადს.

✦ **„თეატრი და ცხოვრება გაუწერეს** თავის ხარჯით: 1) ლაგოდეხის „ვაჟაფშაველას“ სახელობის სამკითხველოს გერ. ჩიკვაიძემ, 2) სამღთოს სამკითხველოს—სოლ. ბოლქვაძემ.

✦ **ფოტ. ი. სტურუამ „თეატრი და ცხოვრება** თავისი ხარჯით გაუწერა სოფ. კულაშს. მანვე გაუწერა „თან. აზრი“.

✦ **„თეატ. და ცხოვრ.“** განცხადება—კალენდარის რამდენიმე ფურცელში ალნიაშვილის სურათს შეცდომით ეწერა † 1903 წ. უნდა იყოს—† 1904 წ.

## ქართველ მსახიობთა კალენდარი

| | |
|---|---|
| მარიამობ.: | მსახიობთა ოცნება. |
| ენკენისთვე: | დრამატ. საზ. იწვევს მსახიობთ. |
| ღვინობის.: | სეზონის დაწყება. |
| გიორგობ.: | პირობების შეცვლა. |
| ქრისტეშ.: | დრამატ. საზოგადოების გაქცევა. |
| იანვარი: | ამხანაგობის შედგენა. |
| თებერვალი: | აყალ-მაყალი, უთანხმოება. |
| მარტი: | დიდმარხვის სეზონის ფიქრი. |
| აპრილი: | ამხანაგობის დაშლა. |
| მაისი: | ნივთების დაგირავება. |
| თ. ბათვე: | მოგზაურობა პროვინციაში. |
| მკათათვე: | ფეხით დაბრუნება დედა ქალაქში. |

**შაქრო საფაროვი**

# ენის წამება

(უურმოკრუჟი)

სადგურის უფროსის თანაშემწე დაუძახებს მეისრეს, რომელიც იმ წამსვე იქ გაჩნდება და ხელს ასწევს.

— შტო გვიბრძანე, ბატონო?

— ა ნუ დიკტუი, ჩტო უ ტებია ტამ?

— ოდნა ვადიანი კატიოლი.

— ხარაშო. ოდინ ვოდიანოი კატიოლ' დალშე?

— პეტნაცით იაშიკები, ნაჩანიკ.

— ხარაშო, პიატნადცად იაშჩიკოვ. დალშე?

— დევიტი აბრუდიუნიე გოსპოდინ.

— რაო, რაო? აბრაღუნი და ანასუნი შენს საქმეს, შე აყლაყუდა შენა. მეხი კი დაგატეხე მაგ თავზე. რავა, ორმოცი წლის ნამსახურმა კაცმა აბარუდოვანი ვაგონების სახელი არ უნდა იცოდე? დაიკარგე აქედან...

— ტაკ ტოჩნი, ნაჩანიკ, აბრადუნუიე, აბრადუნუიე:

— დახე! კიდევ აქა ხარ გაჩერებული? დაიკარგე მეთქი შე...

— სლუშუიუს, ბარინ,

**სელოს ძმა**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის

# „სახალხო ფურცელი"

**გაზეთი სურათებით და დამატებით ღირს წელიწადში 9 მ. 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ., თვით 90 კ.**

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად**. ხელის მოწერის დროს 3 მ. 50 კ. პირ. ივლის. 2 მ. და პირვ. ენკენ. 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერ. ღიაა დილის 9 ს. ნაშუად. 3 ს. და საღ. 6—8 ს. წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დაახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინად და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რეალური მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიმოხილვა. **საპრემიო თხზულების ავტორები**: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, გრ. გველესიანი, გ. დასხიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, გ. ქიქოძე, თ. ღლონტი, ა. ჯაჯანაშვილი. მისამართი: **ტფილისი „სახალხო ფურცლის" რედაქცია, სახაზინო ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.**

# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეექვსე წელიწადი** (დაარსებულია 1890 წ.) გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ფასი თბილისში **4** მ., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მ. ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **40** კაპ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—„ჯეჯილის" რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

(ფოსტით: Въ Тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

5862

# ზვიროთი

ყოველკვირ. საპ. სალ. და საოჯ. გაზეთი. გაზეთის დანიშნულებაა დაიცვას ქართ. მშრომელ ხალხის კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, კულ.-ამხ. ეროვნული კავშირი გაამტკიცოს უცხო ეროვნების მშრომელ კლასთან.

**წლიური ფასი 2 მ. 50 კ., თვეში 25 კ.**

ფული უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ შემდეგი მისამართით **Тифлисъ, Мухранская ул. д. № 12, Георгію Никифоровичу Мебуке.**

# ნაკადული

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი. **წელიწადი მეთორმეტე**, გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, **თვეში ორჯელ 24** წიგნი მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი მოზრდილთათვის.

უფროს წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილი მხატვრის ნახატი. ფასი: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. (ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიტანს), გაგზავნით **6** მ. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავ. 3 მ. **50** კ. ცალცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—3 მ. გაგზავნით **3—50** კ. მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მ. გაგზავ. **3** მ. **50** კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ხელის მოწერა მიიღება ტფილისში**—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პრ. № **8** (Ред. „Накадули", Головинскій пр № 8), შემოსავლიანი დაგოთის ქ., № 2. და წ. კ. წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ის. გეგეჭკორთან, მ. ვაჩნაძესთან და ო. მთავრიშვილთან. ბათომში—ტრ. ინასარიძესთან, ფოთში, და ან. ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—დღ. მინაძესთან. თელავში—გ. მაატაშვილთან, ახალციხეში—კ. გვარამაძესთან. ბაქოში—მ. ნაკაშიძესთან. გორში—ქ. ჯავახიშვილთან და ნ. ლომოურთან. ქიათურაში—ივ. კომლაურთან. ხონში—მ. ი. ჭეჭელაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი: **თ. პავ. იოს. თუმანიშვილი.**

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т Полумордвиновъ.

**Списокъ пьесъ**

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. къ представл. на сцен Кавк. Края. ц. 40 коп.
Тифлисъ Цензурный Комитетъ

# ნომრები „ავრორა"

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და აბანო). თბ., მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)

# ახალი აფთიაქი

პროვიზ. ა. ს. ახალდიანისა.

სამხედრო ქ. და გოლოვინის პრ. კუთხე.

# მოგილოცავთ ახალ წელს!

კახელ მევენახეთა საზ-ბა
„კახეთი"

ამხანაგობა „საერო"

ღვინით სავაჭრო
ა. ზ. ბერელაშვილისა
(მიხეილ. ქ)

ღვინით სავაჭრო საზ-ბა
„ალექსანდრეული"
(ოლგას ქ.)

ღვინით სავაჭრო
ნ. სესიაშვილისა
(განოვის ქ.)

ღვინით სავაჭრო
ნ. ვაყიკაშვილისა

ღვინით სავაჭრო ამხ-ბა
„ვენახი"
(ნიკოლ. და ფრეირვ. ქ. კუთხე).

რესტორ. „ოსტერია"
აბაშიძე და თოფურიძესი

სასტუმრო „პალას-ოტელ"
ს. სხირტლაძისა

სასტუმრო „ნოე"
ნოე სიხარულიძისა

თევზით სავაჭრო
ძმ. ძემველოვები

სავასტრონომიო და ყოველგვარ ადგილობრივი და საზღვარგარეთის სასმელების საწყობი
ნაზარბეგოვისა

ტყავეულობის საწყობი
ი. მ. ხარაშვილისა

ხილეულთა წყალი
მ. ლაღიძე და ამხ.

სამოდო მაღაზია ტელ. 8—85.
მ. ბამარულისა

ღვინით სავაჭრო
რაჟ. მირინაშვილისა

აფთიაქის მაღაზია
ვ. გ. ზურაბოვისა

ივ. ესტ. მჭედლიშვილის თაოსნობით.